ეროვნული ბიბლიოთეკა


# საჩემპიონო

სპორტული გაზეთი შაბათი 3 ნოემბერი 2007 №255 (3178) ფასი 50 თეთრი




# ქართული ფეხბურთი ქერით სავსე ორმოსკენ მიექანება

## ევროპული სტანდარტების სტადიონები, სოლიდური პრემია, თანამედროვე დონის ტრანსლაცია: მალე!

# თბილისამდე ანთალია

## რუსეთი თურქეთის გავლით ჩამოდის




20 ნოემბერს საქართველოს ახალგაზრდული ნაკრები მორიგ ევროშესარჩევ მატჩს გამართავს რუსეთთან.

პრინციპულ მეტოქესთან მოახლოებულ შეხლას რუსები მთელი სერიოზულობით მიუდგნენ და უკვე შეადგინეს მზადების განრიგი: ბორის სტუკალოვის გუნდი 13 ნოემბერს შეიკრიბება, 14-17 ნოემბერს კი ანთალიაში ივარჯიშებს, საიდანაც თბილისში ჩამოვა.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრების თავკაც პეტარ სეგრტს საამმატჩო შემადგენლობა ჯერ არ გამოუცხადებია, სტუკალოვმა კი უკვე შეარჩია სასურველი ფეხბურთელები...

***მეკარეები:*** *მიხაილ კერჟაკოვი (ზენიტი), ნიკიტა ტალალიხინი (ურალი), სოსლან ჯანაევი (კამაზი);*

***მცველები:*** *კირილ ნაბაბკინი (მოსკვა), სერგეი ეფიმოვი (ლოკომოტივი), იური ლებედევი (ზენიტი), ვლადიმირ გრანატი (დინამო), ფიოდორ კუდრიაშოვი (სპარტაკი), ანდრეი ლუკაჩენკოვი (სკა), დმიტრი იატჩენკო (ნალჩიკი), რომან შიშკინი (სპარტაკი);*

***ნახევარმცველები:*** *კირილ კომბაროვი (დინამო), დმიტრი კომბაროვი (დინამო), ივან ტარანოვი (ცსკა), ვიქტორ ფაიზულინი (ნალჩიკი), ანდრეი ნაგუმანოვი (ტექსტილშჩიკი), ოლეგ სამსონოვი (ნალჩიკი), პაველ გოლიშევი (მოსკვა);*

***თავდამსხმელები:*** *ალექსანდრ პრუდნიკოვი (სპარტაკი), ოლეგ კოჟანოვი (ურალი).*

## დავით ყიფიანის თასის ყაზბეგის გათამაშება
## ჯგუფური ეტაპი. მეხუთე ტური

www.pfl.ge

# გავარკვიოთ გასარკვევი
## ვინ დაიბევებს მეოთხედფინალს?

საქართველოს თასის ჯგუფური ეტაპის მეოთხე ტურის მატჩები გუშინწინ მიილია და უკვე ხვალ მეხუთე ტური გაიხსნება D ჯგუფის „დილა“ — „კახეთის“ შეხვედრით. ამ ოთხმა ტურმა ჯგუფიდან გამსვლელი ვერც ერთი გუნდი ვერ გამოავლინა და ვინძლო მეხუთე ტურში მაინც დაიგულოს რამდენიმე კლუბმა თავი მეოთხედფინალში...

**გორი. 4 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე**
**დილა გორი — კახეთი თელავი**
მსაჯები: ლ. სილაგავა; ზ. მენთეშაშვილი, ო. მოლოდინაშვილი; ლ. კვარაცხელია

**გორი. 5 ნოემბერი. 14 საათი. თ. ბურჯანაძე**
**სპარტაკი ცხინვალი — ტორპედო ქუთაისი**
მსაჯები: ვ. გუმბერიძე; ი. უკლება, ა. კოკაია; ა. კრიჭაშვილი

**ახალციხე. 5 ნოემბერი. 14 საათი. მ. იაძე**
**მესხეთი ახალციხე — ამერი თბილისი**
მსაჯები: დ. ხარიტონაშვილი; ლ. მიქელაძე; ა. გუნთაძე; ვ. ელისაბედაშვილი

**თბილისი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მ. მესხი**
**ლოკომოტივი თბილისი — მაღაროელი ჭიათურა**
მსაჯები: გ. დოგრაშვილი; ხ. მაისურაძე; ქ. გაიპარაშვილი; გ. ვადაჭკორია

**მცხეთა. 5 ნოემბერი. 14 საათი. არმაზი**
**ვიტ ჯორჯია თბილისი — დინამო თბილისი**
მსაჯები: მ. ურუშაძე; გ. ყრუაშვილი; ბ. ჭიჭინაძე; ა. ნონიკაშვილი

**ბათუმი. 5 ნოემბერი. 14 საათი. მერანი**
**ბათუმი — მერანი თბილისი**
მსაჯები: მ. ბეუქლიშვილი; ზ. ჯვარიძე; ზ. ერქვანია; პ. დოგრაშვილი

**ბორჯომი. 5 ნოემბერი. 14 საათი. ჟ. ზეინკლიშვილი**
**ბორჯომი — ოლიმპი რუსთავი**
მსაჯები: ლ. ფანიაშვილი; მ. ელიკაშვილი; კ. გუდურაშვილი; ზვ. ასკაროღლი

**ზუგდიდი. 5 ნოემბერი. 14 საათი. გ. თუთბერიძე**
**მგლები ზუგდიდი — ზესტაფონი**
მსაჯები: ო. ხეცაძე; გ. ჩიგოგიძე; ბ. მჟავანაძე; ჟ. ბუიშვილი

### A ჯგუფი

ამ ჯგუფის მთავარი მატჩი ახალციხეში გაიმართება, სადაც „მესხეთი“ „ამერს“ მასპინძლობს. გასულ ტურში კობა თედიაშვილის გუნდი გორში „სპარტაკთან“ დამარცხდა და ჯგუფიდან გასვლის შანსები მკვეთრად გაიუარესა. ამიტომ „ამერთან“ უსიკვდილოდ მოგება სჭირდებათ, თუმც ახლა თბილისელებს ჰკითხეთ. თასის ორგზის მფლობელებს ამ შეხვედრაში ფრეც აძლევთ ხელს, რადგან ბოლო ტურში „სპარტაკს“ მიიღებენ და არა გვგონია, მათი ძლევა გაუჭირდეთ.

„სპარტაკი“ გორში ნირწამხდარ ქუთაისის „ტორპედოს“ უმასპინძლებს და ალბათ სამ ქულასაც ჩაიჯიბავს.

### B ჯგუფი

„ვიტ ჯორჯია“ — „დინამო“: თასია თუ ჩემპიონატი, ამ გუნდების დაპირისპირება ყოველთვის საინტერესოა. ახალ სეზონში უკვე ორჯერ ჰქონდათ შეხლა, თასზე „დინამომ“ იმარჯვა, ჩემპიონატში კი ვიტელებმა გაიხარეს და დინამოელთათვის ეს მარცხი ორმაგად მტკივნეული იყო. ამ წაფორხილებით ხომ ჩემპიონატის ლიდერობა „ზესტაფონს“ გადაულოცეს.

ასე რომ, მცხეთაში უშეღავათო ბრძოლას ველით.

უქულო „ლოკომოტივი“ ჭიათურის „მაღაროელს“ დაუხვდება. პირველლიგელი „მაღაროელი“ კენჭისყრის შემდეგ ჯგუფის აუტსაიდერად მოინათლა, თუმც ოთხი ტურის მერე მეოთხედფინალში გასვლის საკმაოდ კარგ შანსს ინარჩუნებს. ბადრი ბრეგვაძის შეგირდები რამდენიმე დღის წინ „დინამოსაც“ არ შეეპუვნენ და ოდენ ქულით გამოისტუმრეს, ხოლო მანამდე „ვიტ ჯორჯია“ და „ლოკომოტივი“ სულაც ხელცარიელი დატოვეს.

„ლოკო“ ჭიათურაში ნამეტანი შერცხვა და ვნახოთ, ახლა რა იქნება...

### C ჯგუფი

მოგეხსენებათ, წინა ტურის მატჩი „ბათუმსა“ და „ბორჯომს“ შორის გადაიდო. ბათუმისკენ მიმავალი ბორჯომული გუნდი ავარიაში მოჰყვა, თუმც ღვთის მადლით, უბედურებას გადაურჩა.

გუშინ „ბორჯომის“ მთავარ მწვრთნელ ვლადიმერ ხაჩიძეს რომ შევეხმიანეთ, გვითხრა, რამდენიმე ფეხბურთელმა ტრავმა კი მიიღო, მაგრამ „ოლიმპთან“ მატჩი არ გადაიდებაო.

რუსთაველები წლეულს ვერც ჩემპიონატში აჩვენებენ იმ თამაშს, ჩემპიონს რომ ეკადრება და ვერც თასზე. თუ დარჩენილ ორ ტურშიც ასე იბურთავეს, მომდევნო ეტაპზე გასვლა სანატრელი ექნებათ.

„ბათუმის“ ახალი მწვრთნელი ავთანდილ კუნჭულია კი შეეცდება, პირველი გამარჯვება მოიპოვოს, თუმც „მერანი“ ამ ბოლო დროს გამოფხიზლდა და ადვილი წასაქცევი ალარავისთვისაა.

### D ჯგუფი

ჯგუფურ ეტაპზე „დინამოსთან“ ერთად ორი გუნდია დაუმარცხებელი — „ზესტაფონი“ და, რაოდენაც გასაკვირიც უნდა იყოს, გორის „დილა“. არც ამ ტურში უნდა ველოდოთ ქვემოქართლელთა წარუმატებლობას. ისინი ხომ „კახეთს“ დაუხვდებიან და მათი ძლევა არ გაუჭირდებათ. „ზესტაფონი“ კი ზუგდიდში ჩადის. ამ გუნდების სათასო დაპირისპირება საკმაოდ უხვგოლიანი გამოდგა — იმერლებმა 6:3 იმარჯვეს. ვფიქრობთ, თემურ მახარაძის შეგირდები „მგლებს“ თავს არ შეაკლავენ, მათ ხომ 11 ნოემბერს უმნიშვნელოვანესი მატჩი ელით თბილისში „დინამოსთან“. სიმართლე ვთქვათ, ჩვენც დიდი მოლოდინით ველით ამ ჯახს...

**ნუკრი ლოლაძე**

### დისკვალიფიცირებულნი

„ვიტ ჯორჯია“ — ალექსანდრე კვახაძე, პაატა დათუნაიშვილი, დავით ლომაია, ნიკა გელაშვილი, ზაზა სახოკია;
„ამერი“ — დიმიტრი ტატანაშვილი, გივი დიდავა, გრიგოლ დოლიძე;
„ზესტაფონი“ — გიორგი ნოდ. ჭელიძე, სევასტი თოდუა, პოლ კესანი;
„დილა“ — გიორგი ბალაშვილი;
„ბათუმი“ — ირაკლი ცანავა;
„ბორჯომი“ — ლევან მერებაშვილი, შოთა გრიგალაშვილი;
„ტორპედო“ — აკაკი ხინგავა;
„მესხეთი“ — გიორგი სომხიშვილი;
„მაღაროელი“ — ზურაბ მუშკუდიანი, დავით ქირია;
„ლოკომოტივი“ — ირაკლი ბარბაქაძე.

### A ჯგუფი

**ტორპედო 0:3 ამერი**
**სპარტაკი 1:0 მესხეთი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ამერი | 4 | 3 | 0 | 1 | 14:3 | 9 |
| სპარტაკი | 4 | 3 | 0 | 1 | 5:2 | 9 |
| მესხეთი | 4 | 2 | 0 | 2 | 5:5 | 6 |
| ტორპედო | 4 | 0 | 0 | 4 | 1:15 | 0 |

### B ჯგუფი

**მაღაროელი 0:0 დინამო**
**ლოკომოტივი 0:4 ვიტ ჯორჯია**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| დინამო | 4 | 3 | 1 | 0 | 7:3 | 10 |
| მაღაროელი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:2 | 7 |
| ვიტ ჯორჯია | 4 | 2 | 0 | 2 | 9:4 | 6 |
| ლოკომოტივი | 4 | 0 | 0 | 4 | 1:12 | 0 |

### C ჯგუფი

**მერანი 0:0 ოლიმპი**
**ბათუმი — ბორჯომი გადაიდო**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ოლიმპი | 4 | 2 | 1 | 1 | 4:3 | 7 |
| ბორჯომი | 3 | 2 | 0 | 1 | 4:3 | 6 |
| მერანი | 4 | 1 | 1 | 2 | 2:2 | 4 |
| ბათუმი | 3 | 1 | 0 | 2 | 1:3 | 3 |

### D ჯგუფი

**დილა 1:0 მგლები**
**კახეთი 0:2 ზესტაფონი**

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| ზესტაფონი | 4 | 3 | 1 | 0 | 13:4 | 10 |
| დილა | 4 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| მგლები | 4 | 1 | 1 | 2 | 7:9 | 4 |
| კახეთი | 4 | 0 | 0 | 4 | 2:12 | 0 |




სარბიელელ ბაჩო სვანიძეს
და ლალი კუჭუხიძეს
ვულოცავთ ქალიშვილის
ელენეს
დაბადებას.
ახალშობილს ჯანმრთელობას,
სიხარულს და ბედნიერებას ვუსურვებთ!
*სარბიელელები*


# თარსი 2007
## რევიშვილი სასწაულად გადარჩა




**„ნუკრი** ბეწვზეა გადარჩენილი. თვითონ არც ახსოვს არაფერი, მაგრამ ძალიან ძლიერი ავარია ყოფილა. ერთდროულად ორი მანქანა შეეჯახა. ეს 29 ოქტომბერს, საღამოს მოხდა. ვარჯიშიდან მოდიოდა. კიდევ კარგი, მანქანაში მარტო იჯდა, მარტო მძღოლის ადგილია გადარჩენილი, სხვები რომ მჯდარიყვნენ, ალბათ, ყველა დაიღუპებოდა. უსაფრთხოების ბალიში გაიხსნა და იმან უშველა ნუკრის“ — გვითხრა გუშინ ნუკრი რევიშვილის მამამ, პაატა რევიშვილმა.

...ვერ აეწყო წლეულს საქმეები საქართველოს ეროვნული ნაკრებისა და ყაზანის „რუბინის“ 20 წლის მეკარეს. ჯერ იყო და, ტრავმებმა არ მოასვენა, 29-ში კი ასეთი ამბავი შეემთხვა ყაზანში.

რევიშვილი ისევ საავადმყოფოში წევს და ჩვენც იქ დავუკავშირდით...

— გადავრჩი. როგორც მითხრეს, ასეთმა ავარიამ, ათასში ერთხელ, რომ უმსხვერპლოდ ჩაიაროს. მე თვითონ არაფერი მახსოვს.

**— რა დაზიანება მიიღე?**

— თავი მაქვს მირტყმული და ტვინის შერყევა დამემართა. ოპერაციას და ასეთებს გადავრჩი, მხოლოდ სისხლის გადასხმა დამჭირდა.

**— რაღაც დათარსულებივით ხართ „რუბინის“ ფეხბურთელები. წლეულს ხომ შენი თანაგუნდელი რენატ გილმულინი ავარიაში დაიღუპა...**

— ასეა. „რუბინის“ მწვრთნელიც იყო მოსული საავადმყოფოში და მანაც ეს თქვა. უკვე მეოთხე რუბინელი ვარ, რომელიც წლეულს ავარიაში მოჰყვა.

**— სამწუხაროდ, ეს სეზონი უკვე დასრულებულია შენთვის...**

— წლეულს არ მომეშვა პრობლემები. ჯერ იყო ტრავმები, ახლა კი... ალბათ ორი-სამი თვე ვერ ვივარჯიშებ.

**— საავადმყოფოდან როდის გამოგწერენ?**

— ალბათ, სამ-ოთხ დღეში.

**ილია ნანობაშვილი**

### ინგლისი

I ლიგა. XIV ტური
**სუონსი 1:1 ჯილინგემი**
II ლიგა. XIV ტური
**ლინკოლნი 0:1 ჩესტერი**
კონფერენსლიგა. XVIII ტური
**ვეიმუთი 0:2 ალდერშოტი**

### ავსტრია

I დივიზიონი. XVI ტური
**გრატკორნი 4:1 ბად აუზეე**
**კერნტენი 4:1 ლუშტენაუ**
**ლეობენი 1:0 შვანენშტადტი**
**ზალცბურგი (მ) 0:2 კაპფენბერგი**

### ბელგია

იუპილერლიგა. XII ტური
**მუსკრონი 0:0 სტანდარდი**

### ჰოლანდია

ერედივიზიონი. X ტური
**ტილბურგი 1:2 ვენლო**
II დივიზიონი. XV ტური
**კამბური 0:1 აპელდორნი**
**ემენი 3:0 ჰაარლემი**
**დორდრეხტი 1:2 მაასტრიხტი**
**ეინდჰოვენი 3:0 ჰელმონდი**
**ალმერე 1:3 ზვოლე**
**იგლსი 2:1 სიტარდი**
**ტელსტარი 2:3 ვოლენდამი**

### პორტუგალია

სუპერლიგა. IX ტური
**პორტუ 1:1 ბელენენსეში**

### თურქეთი

სუპერლიგა. XI ტური
**ტრაბზონი 2:1 ანკარა**

### პოლონეთი

I ლიგა. XIII ტური
**გურნიკი 2:0 ბელხატუვი**

### გერმანია

ბუნდესლიგა. XII ტური
**კოტბუსი 1:0 შალკე**
II ბუნდესლიგა. XII ტური
**აუე 2:1 ალემანია**
**ჰოფენჰაიმი 1:1 ზანქტ პაული**
**ოფენბახი 1:2 ფიურტი**
სამხრეთ რეგიონალლიგა XIV ტური
**ელვერსბერგი 2:0 მიუნხენი (მ)**
**ინგოლშტადტი 2:0 როიტლინგენი**
**ზიგენი 4:2 ოგერშაიმი**

### საფრანგეთი

II დივიზიონი. XIV ტური
**ბრესტი 1:1 სედანი**
**შატორუ 2:2 ანჟერი**
**გრენობლი 2:0 დიჟონი**
**ბენიონი 1:1 ტრუა**
**ლიბურნი 2:2 ბულონი**
**რეიმსი 0:0 ამიენი**
**ნანტი 2:1 აიაჩო**

### სლოვაკეთი

I ლიგა. XV ტური
**სენეცი 3:0 ტრენჩინი**

### ირლანდია

პრემიერლიგა. XXXII ტური
**ბოჰემიანსი 0:0 ლონგფორდი**
**დერი 1:1 შემროკი**
**დროჰედა 1:1 ბრეი**
**დუბლინი 0:3 სენტ პატრიკსი**
**უოტერფორდი 0:0 გალვეი**

### უკრაინა

ვიშა ლიგა. XV ტური
**კარპატი 0:1 დნიპრო**

### უნგრეთი

ბორსოდი ლიგა. XIII ტური
**ვაშაში 0:2 ჰონვედი**

### ამხანაგური მატჩი

ს. არაბეთი 1:0 ნამიბია

ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამა, ამდენ ხანს რომ ველოდით, გვაქვს. ბევრჯერ ნათქვამი ერთხელაც გავიმეოროთ, რომ სახელმწიფოს მხარდაჭერისა და დახმარების გარეშე ჩვენი ფეხბურთის მნიშვნელოვანი წინსვლა წარმოუდგენელიც იყო. და რაკი პროგრამა არის, ახლა ჯერი მის შესრულებაზეა. ეს კი ფეხბურთის ფედერაციისა და პროფესიული ფეხბურთის ლიგის საქმეა. პროფლიგის პრეზიდენტ დიმიტრი რამიშვილს სწორედ ამ ამბებზე სასაუბროდ შევხვდით და სანამ მის მოსაზრებებს გაგაცნობთ, ერთიც ვთქვათ: პროფლიგა თავისი შესაძლებლობის ფარგლებში აქამდეც მაქსიმუმს აკეთებდა ეროვნული ჩემპიონატის დონის ასაწევად და მიზეზს ვერ ვხედავთ, ახლა, სახელმწიფოს მხარდაჭერით ზურგმომაგრებულმა გაცილებით მეტი რომ ვერ გააკეთოს...




# პროფლიგა და მილიონები

## დიმიტრი რამიშვილი: ქართული ფეხბურთი მალე ევროპული იქნება

— უმაღლესი ლიგის პირველი წრის დამთავრებამდე სამი ტური დარჩა და უკვე შეიძლება იმის თქმა, რომ რასაც ამ ჩემპიონატიდან ველოდით, მივიღეთ. ვფიქრობ, საინტერესო და კარგი თამაშები ახლა უფრო ბევრია, ვიდრე აქამდე იყო. მოგეხსენებათ, მომავალი სეზონიდან უმაღლეს ლიგაში გუნდების რაოდენობა თოთხმეტიდან თორმეტამდე მცირდება, სამი გუნდი პირდაპირ გავარდება, ერთსაც გადათამაშებაში მოუწევს საქმის გარკვევა. ცხადია, როცა ასეთი სისტემაა, აუტსაიდერები მაქსიმალურად არიან მობილიზებულნი და მათთვის თითოეულ ქულას უდიდესი მნიშვნელობა აქვს. საკმაოდ დაძაბული ვითარებაა ლიდერთა შორისაც, ოთხი-ხუთი გუნდი ნელ-ნელა კიდევ უფრო იზრდება, მათი თამაში უფრო მიმზიდველი ხდება და ისინი საკლუბო ინფრასტრუქტურასაც აუმჯობესებენ. ორგანიზაციული თვალსაზრისით, ეს ჩემპიონატი უფრო დახვეწილია. უწინდელთან შედარებით, ამ სეზონში ნაკლები ექსცესებია, გართულებები არ არის, რაც მნიშვნელოვანწილად სადისციპლინო კოდექსში ცვლილებებმა განაპირობა. უკვე შეგვიძლია ვთქვათ, რომ სწორი გავაკეთეთ, როცა ბილეთების გაყიდვა დავიწყეთ. ათი ტური უკვე ჩავლილია და, როგორც ვიცი, კლუბებმა ბილეთების გაყიდვით თავიანთ ბიუჯეტს გარკვეული თანხა შემატეს. იქნებ ეს შემოსავალი მინიმალურია, მაგრამ ნუ დავივიწყებთ, რომ ბილეთების გაყიდვა ახალდაწყებულია და დარწმუნებული ვარ, ბილეთების გაყიდვით კლუბები მომავალში გაცილებით მეტს მოიგებენ. ამ სეზონში მატჩებზე დასწრება არ შემცირებულა და ვინც სტადიონზე მიდის, ის ბილეთს ყიდულობს. კარგია, რომ ქომაგებმა ეს ყოველივე ნორმალურად მიიღეს.

— როგორც ვიცით, ამ სეზონშივე შეიქმნება ჩემპიონატის საპრიზო ფონდი...

— დიახ, მედიაკომპანია „კოლხიდასთან" გაფორმებული ხელშეკრულებით, უმაღლესი ლიგის საპრიზო ფონდი წლეულს 200 ათასი ლარი იქნება და ეს თანხა გუნდებზე დაკავებული ადგილების მიხედვით გადანაწილდება. ჩემპიონი, ცხადია, მეტს მიიღებს, მეორეადგილოსანი შედარებით ნაკლებს და ასე შემდეგ. საპრიზო ფონდი არ არის გათვალისწინებული ლიგიდან გავარდნილებისთვის. როგორც იცით, „კოლხიდას" ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ტელეჩვენების უფლებები გადავეცით და ეს 200 ათასიც სწორედ ამ პროექტმა მოგვიტანა.

— როგორც ითქვა, 200 ათასის გარდა ფეხბურთის განვითარების სახელმწიფო პროგრამითაც არის ეროვნული ჩემპიონატისთვის გარკვეული თანხა გათვალისწინებული...

— სახელმწიფო პროგრამაზე ფეხბურთის ფედერაცია და პროფლიგა ხელისუფლებასთან თითქმის ერთი წელიწადი მუშაობდა და ამასწინათ სახელმწიფო პროგრამის პრეზენტაცია ქვეყნის პრეზიდენტმა მოახდინა. ეს პროგრამა ჩვენი ფეხბურთის განვითარებისთვის უზარმაზარი წინგადადგმული ნაბიჯია. აშენდება 10 თანამედროვე სტანდარტების სტადიონი, რვა გუნდი გადავა კერძო საკუთრებაში და მათი წლიური ბიუჯეტი ათი სეზონის განმავლობაში, სულ ცოტა, 500 ათასი ლარი იქნება, რომელიც წლიდან-წლამდე გაიზრდება და ალბათ მილიონიან ზღვარს მიაღწევს. სახელმწიფო პროგრამით კი, დაახლოებით 500 ათასი ლარი ეროვნული ჩემპიონატის საპრიზო ფონდისთვის არის გათვალისწინებული და ამ თანხას თუ „კოლხიდასგან" მიღებულს დავუმატებთ, მომავალი ჩემპიონატის საპრიზო ფონდი დაახლოებით 800 ათასი იქნება და სეზონიდან სეზონამდე გაიზრდება. კოხტა და თანამედროვე სტადიონები, საპრიზო ფონდი, ეროვნული ჩემპიონატის მატჩების ჩვენება უმაღლესი ხარისხით — ჩათვალეთ, ეს უკვე გვაქვს და ახლა ამ ყველაფრის რეალიზაციაა საჭირო. დარწმუნებული ვარ, რომ მომავალი სეზონი ისეთი იქნება, როგორიც აქამდე არ ყოფილა.

— იმ რვა გუნდის პატრონების ვინაობა როდის გაირკვევა?

— როდესაც გარკვეული უძრავი ქონების შესაძენად ტენდერი გამოცხადდება, გუნდების პატრონების ვინაობაც მაშინ გაირკვევა. ინვესტორს ისეთი პირობები ექნება, ფეხბურთიც რომ დააინტერესებს და გუნდის პატრონობაზე უარს ვერ იტყვის. ამ სახელმწიფო პროგრამით არა მარტო ფეხბურთისთვის, მთლიანად ქართული სპორტისთვის საშვილიშვილო საქმე გაკეთდა, რაც გვავალდებულებს, რომ განვითარებისთვის კიდევ უფრო მეტი ვიმუშაოთ.

— სტადიონები როდის აშენდება და რომელ ქალაქებში?

— ეს პროცესი დეკემბრიდან დაიწყება. მოგეხსენებათ, 2008 წლიდან ყველა გუნდი უნდა აკმაყოფილებდეს ლიცენზირების პროგრამის მოთხოვნებს და აქედან გამომდინარე, სტადიონების მშენებლობა თუ რეკონსტრუქციაც ახლო მომავლის საქმეა. ჩვენი ინფრასტრუქტურით უნდა დავეწიოთ ევროპას და თუ ასევე გავაგრძელებთ, ეს ძალიან მალე მოხდება.

— „კოლხიდა" როდის ამოქმედდება და რომელ ტელეკომპანიას ექნება მატჩების ჩვენების უფლება?

— მეორე წრიდან უკვე უმაღლესი ხარისხით გადაღებულ მატჩებს ვნახავთ. ეს იქნება ისეთი პროდუქტი, რომელიც ყველა, ქართულ თუ უცხოურ ტელეკომპანიას დააკმაყოფილებს. ქართული ფეხბურთის პოპულარიზაციისთვის ესეც ძალიან მნიშვნელოვანი საქმეა. ტელეკომპანიებთან „კოლხიდას" მოლაპარაკებები ჯერ არ დაუმთავრებია და ვერ გეტყვით, მატჩების ჩვენების უფლება რომელს ექნება, თუმცა მჯერა, რომ მალე ტელეკომპანიები ამ პროდუქტის შეძენით იქით დაინტერესდებიან და მერე მათ უკვე „კოლხიდა" და ჩვენ ვუკარნახებთ პირობებს.

— პროფლიგა ყოველი სეზონის წინ თუ წრეებსშორის შესვენებისას ახალ-ახალ პროექტებს იწყებს. უახლოეს მომავალში რას ველოდოთ?

— ჩაფიქრებული გვაქვს, რომ ჩავატაროთ ლიგის თასის გათამაშება. კლუბები ამის თაობაზე უკვე ინფორმირებულნი არიან და მალე ალბათ საბოლოო გადაწყვეტილებას მივიღებთ. პროექტით, ლიგის თასზე უმაღლესი ლიგის ექვსი საუკეთესო გუნდი ითამაშებს და მათთვისაც ცალკე საპრიზო ფონდი შეიქმნება. ამ პროექტით, უმაღლესი ლიგის უმოტივაციო გუნდებისთვის, რომლებსაც არც გავარდნა ემუქრებათ და არც საპრიზო ადგილების პრეტენზია აქვთ, სტიმული მეექვსე ადგილზე გასვლა იქნება, ამ შემთხვევაში ხომ ისინი ლიგის თასზე ითამაშებენ და საპრიზო ფონდიდან გარკვეულ პროცენტს მიიღებენ. ლიგის თასის გათამაშებით ჩვენი ფეხბურთი, ვფიქრობ, დამატებით ინტრიგას შეიძენს. პროფლიგა და ფედერაცია ასევე ერთ მნიშვნელოვან საკითხზეც მუშაობს — კლუბებისთვის წყლის გადასახადის გაუქმება ან შემცირება თუ მოვახერხეთ, ეს ჩვენს ფეხბურთს დიდ სარგებელს მოუტანს. ვფიქრობ, რომ ასეთი პროექტი განხილვას იმსახურებს. ახლა, როცა წყლის გადასახადი იზრდება, წარმოიდგინეთ, იმ კლუბებისთვის, რომლებსაც თავიანთი ბაზა და იქ რამდენიმე მოედანი აქვთ, წყლის გადასახადისგან განთავისუფლება რამხელა შეღავათი იქნება. გვსურს, ბაზების გამოყენებაზე ჩვენთანაც ისეთივე ბუმი იყოს, როგორიც ახლა თურქეთშია. სტუმარს თუ კეთილმოწყობილ ბაზას დაახვედრებ, აქ ჩამოვა და აქ მოემზადება. ეს კი დამატებითი შემოსავალია. უხარისხო მოედანზე სავარჯიშოდ არავინ ჩამოვა. ხარისხიან მოედანს კი წყალიც ბევრი სჭირდება.

**კობა ინასარიძე**

# ზუგ-დიდი ამბობს მოლოდინი

## ოლიმპი თუ ამერი: ფოლკსვაგენი და ათი ათასი

**საქართველოს** სუპერთასი, ანუ „ფოლკსვაგენის" თასი, სავარაუდოდ, 5 დეკემბერს, ზუგდიდის ცენტრალურ სტადიონზე გათამაშდება და როგორც ყოველთვის, ნაირ-ნაირი სიურპრიზებითა და სანახაობით იქნება გაჯერებული.

„ფოლკსვაგენის" თასს ერთმანეთს საქართველოს ჩემპიონი რუსთავის „ოლიმპი" და ქვეყნის თასისა და „ფოლკსვაგენის" თასის პირველი მფლობელი თბილისის „ამერი" შეერკინებიან.

„ფოლკსვაგენის" თასის პირველი გათამაშება, გეცოდინებათ, პირველად სწორედ შარშან გაიმართა — მაშინ „მიხეილ მესხზე" „ამერმა" ჩემპიონი ბოლნისის „სიონი" 1:0 დაამარცხა და ვერცხლისფერ თასთან ერთად, „ფოლკსვაგენისგან" გამარჯვებულისთვის დაწესებული 10 ათასი ლარიც მიიღო.

საქართველოს პროფესიულ ფეხბურთის ლიგასა და კომპანია „ფოლკსვაგენს" სუპერთასის გათამაშების თაობაზე ორწლიანი კონტრაქტი აქვთ გაფორმებული.

წლეულსაც, როგორც შარშან იყო, ეს კომპანია გამარჯვებული გუნდისთვის 10 ათას ლარს გამოდის.

მაშ ასე, სავარაუდოდ, 5 დეკემბერს, ზუგდიდში, „ფოლკსვაგენის" თასი და „ოლიმპი" — ამერი"...



# თენგიზ სულაქველიძე აქეთურ-იქითურზე

თუ ვინმეზე ითქმის, ფეხბურთით ცხოვრობს, ფეხბურთით ტკბება და ფეხბურთი სტკივაო, ერთი მათგანი თენგიზ სულაქველიძეც არის. „ოქროს დინამოს" ფეხბურთელმა მდიდარი საფეხბურთო კარიერა ხომ მოილია, მერე ერთი პერიოდი საქართველოს ნაკრების სამწვრთნელო შტაბშიც იყო, 2001 წელს კი დიღმის მასივში საფეხბურთო აკადემია ჩამოაყალიბა. სულაქველიძის აკადემიაში ისეთი ფეხბურთელებიც გაიზარდნენ, დღეს ეროვნულ თუ ახალგაზრდულ ნაკრებში რომ თამაშობენ. თენგიზ სულაქველიძეს აკადემიაზე, ბავშვთა და, ზოგადად, ქართულ ფეხბურთზე, ასევე სანაკრებო თემებზე ვესაუბრეთ...



## მოვასწარით და ბევრს მოვასწრებთ

**— როგორ ვითარდება თქვენი აკადემია?**

— გვაქვს ოთხი სტანდარტული და სამი პატარა მოედანი, მათ შორის, წიდისსაფარიანიც. გეცოდინებათ, ჩვენს მინდორზე საქართველოს ეროვნული და ასაკობრივი ნაკრებებიც ვარჯიშობენ. ამასწინათ ჰოლანდიის 19-წლამდელთა ნაკრებმაც აქ ივარჯიშა. გეგმაში მოედნების დამატებაც გვაქვს. აკადემია 2001 წელს დაარსდა და, ვფიქრობ, ამ მოკლე დროში ბევრი მოვასწარით — აქ გაიზარდნენ ოთარ მარცვალაძე, შოთა კაშია, გიორგი და ლაშა ჭელიძეები, ალექსანდრე და გიორგი კვახაძეები, დავით იმედაშვილი, ზაზა სახოკია...

**— როგორც ვიცით, პირადად თქვენც ავარჯიშებთ ერთ-ერთ ასაკობრივ ჯგუფს...**

— ყველაზე უმცროსები 7-წლისები გვყავს, პატარებს მე ვავარჯიშებ. აქ მწვრთნელებად ვახტანგ კოპალეიშვილი, მალხაზ არზიანი, რევაზ სანთელიძე, ჩემი ვაჟი და სხვები მუშაობენ... ახლახან „ვიტ ჯორჯიამ" აკადემიის 1990 წელს დაბადებული ორი ჭაბუკი წაიყვანა. საერთოდ, ვთვლი, რომ „ვიტ ჯორჯია" მისწრებაა მოზარდებისთვის, რადგან ამ კლუბს განსაკუთრებული მიდგომა აქვს მათთან.

**— ანუ, როცა თქვენ აღზრდილებზე მოთხოვნაა, პრიორიტეტს „ვიტ ჯორჯიას" ანიჭებთ?**

— დიახ, რამდენი 16 წლის ბიჭი წაიყვანა ამ გუნდმა და კარგ ფეხბურთელადაც დააყენა...

**— საქართველოს 17-წლამდელთა ნაკრების მწვრთნელი ჰერბერტ ცანკერი თუ დადის ხოლმე თქვენს აკადემიაში?**

— რამდენჯერმე იყო, თამაშებს დააკვირდა, შესარჩევი მატჩებისთვისაც გამოიძახა ჩვენი აკადემიის ორი ფეხბურთელი, რომლებიც ალბათ ძირითადშიც ითამაშებდნენ, მაგრამ ტრავმა მიიღეს.

## ნუ დაკარგავთ ცხოვრებას

**— ქართველი ბავშვები ძალიან ნიჭიერები არიან, მაგრამ შემდეგ ზრდას აჩერებენ — ეთანხმებით ამ მოსაზრებას?**

— ვეთანხმები. სადღაც 14 წლის რომ ხდებიან, თვითონ იცვლიან ცხოვრების სტილს. ზოგი ქუჩას ეკედლება, ზოგიც დაჯდება კომპიუტერთან და ადგომა აღარ უნდა. კი, განა ცუდია კომპიუტერი, მაგრამ ისიც ხომ უნდა იცოდე, რამდენ ხანს მიუჯდე. ქუჩა კი მთლად უარესია, მე თვითონ ისეთ უბანში ვიზრდებოდი, შეიძლებოდა, ცუდ გზას გავყოლოდი, მაგრამ ფეხბურთი სისხლში მქონდა გამჯდარი, სხვა არაფერი მაინტერესებდა. სამწუხაროდ, დღეს ბავშვების უმრავლესობას მოთმინება არ ჰყოფნის, არადა, რა ძვირფას რამეს, მთელ ცხოვრებას კარგავენ. რა უნდა ისწავლონ ფეხბურთზე კარგი, ქუჩაში დგომას რა მოუტანია?!

**— ბევრ საფეხბურთო სკოლაში ბავშვებს მუდმივად ხელოვნურსაფარიან მინდორზე ავარჯიშებენ. ეს საზიანო არ არის?**

— 16 წლამდე ბავშვს ხელოვნურსაფარიან მინდორზე რომ ავარჯიშებენ და ათამაშებენ, ეს დანაშაულია. ვალერი ლობანოვსკი იცით, რას აკეთებდა? როცა ხელოვნურსაფარიანზე ჰქონდათ მატჩი, დუბლებს ათამაშებდა ხოლმე. ასეთი საფარი იშვიათად უნდა გამოიყენო — მაგალითად, როცა ცუდი ამინდია და სხვა გამოსავალი არ გაქვს.

**— როგორ ფიქრობთ, ზოგადად ბავშვთა ფეხბურთს სათანადო ყურადღება ექცევა?**

— რასაც სახელმწიფო და საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია ახლა აკეთებს, მადლობის მეტი რა უნდა ვუთხრათ. ამდენი სტადიონისა და საფეხბურთო სკოლის აშენება იგეგმება. რაც მეტი იქნება, მით უკეთესი. პირადად მე ფეხბურთით ვცხოვრობ. ამის იქით არაფერი გამიკეთებია და როცა ვხედავ, რომ ქვეყანაში ფეხბურთით დაინტერესებაა, ძალიან მიხარია.

## ჩვენი თაობის მერე ასათიანი საუკეთესოა

**— ეროვნულ ნაკრებზეც ვთქვათ, რომელიც გაახალგაზრდავების პროცესშია და 17 წლის ჭაბუკებს გაეხსნათ გზა...**

— ამ ჭაბუკებს რომ კარგად ვერ ეთამაშათ, სხვა საქმეა, მაგრამ ყველამ ნახა, როგორ იყოჩაღეს შოტლანდიასთან. ნამდვილად სწორი მართულ[illegible] ოლერმა. გუნდში [illegible] ხმა იყო საჭირო. აი, ესაა სწორი მუშაობის შედეგი: ასაკობრივი ნაკრებებიდან ეროვნულში გადაყვანა, გამოცდილი მოთამაშეებისა და ახალგაზრდების შერწყმა.

**— ამასთან, ნაკრებმა ნიადაგი მოამზადა მომავალ შესარჩევ ციკლში უკეთ სათამაშოდ...**

— ვფიქრობ და მჯერა კიდეც, რომ მომდევნო შესარჩევში უკეთესი შედეგი გვექნება.

**— როგორც საყრდენი ნახევარმცველი, ეროვნული ნაკრების ახლანდელ საყრდენებს როგორ შეაფასებთ?**

— პირველ რიგში, ჯაბა კანკავას გამოვარჩევდი. ამ ამპლუის ფეხბურთელი ჯანიანი უნდა იყოს, ბურთის წართმევა უნდა იცოდეს და თუ შეტევის ორგანიზება შეუძლია, მთლად უკეთესი. კანკავას ეს ყველაფერი ეტყობა და ისიც ეტყობა, რომ მოუმატებს, ჯერ ხომ მაინც საკმაოდ ახალგაზრდაა. კარგი ბიჭია გოგიტა გოგუაც. საყრდენი ნახევარმცველობა დიდი მოცულობის სამუშაოს შესრულებას მოითხოვს.

**— და ისეთი საყრდენი თუ გვყავს, რომელსაც დაცვაც და შეტევაც თანაბრად ეხერხება?**

— ასეთი მალხაზ ასათიანია, თუმცა საყრდენად რომ დააყენო, დაცვაში მის გარეშე გაჭირდება. საერთოდ, ასათიანი თავისი კლასით, თავისი პიროვნული თვისებებით და წესიერებით სამაგალითო ფეხბურთელია. ჩვენი თაობის შემდეგ საქართველოს ასეთი ფეხბურთელი ალბათ არც ჰყოლია. ტრავმებმა თუ არ შეუშალა ხელი, ძალიან დიდ ფეხბურთს ითამაშებს.

**ილია ნანოზაშვილი**



# თარგამაძის გოლი+პასი

**19 წლის** დავით თარგამაძე „ფრაიბურგის" ასაკობრივ გუნდში უდავოდ გამორჩეულია. „ფრაის" 19-წლამდელებმა ამ ასაკის გერმანიის თასის მერვედფინალში „ჰალეს" 4:1 მოუგეს. ჩვენიანმა კი 90 წუთი ითამაშა და ანგარიშიც გახსნა მე-17 წუთზე — ლამაზი კომბინაცია დასრულდა გოლით. მერე თარგამაძემ საგოლე პასიც მიითვალა.

დავითმა მარცხენა ნახევარმცველად ითამაშა.

„ფრაი" გერმანიაში გამორჩეულია იმით, რომ მეტწილად თავისი ახალგაზრდული გუნდებიდან აწინაურებს ფეხბურთელებს და ტრანსფერებს ნაკლებად ეტანება. ეს განსაკუთრებით ბოლო წლებში შეიმჩნევა. ჰოდა, თარგამაძესაც მშვენიერი შანსი აქვს...

და კიდევ, „ფრაის" 19-წლამდელები ამ ასაკის ბუნდესლიგის ცხრილს ლიდერობენ.

თარგამაძე ის ფეხბურთელია, რომელმაც ამასწინათ ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატის შესარჩევ ციკლში ითამაშა და ჰოლანდიელ თანატოლებს გოლიც გაუტანა. მართალია, ქართველებმა ჯგუფში სამივე მატჩი წააგეს, მაგრამ თარგამაძე აშკარად ნათელი წერტილი იყო მეკარე როინ კვასხვაძესთან ერთად.

**ილია ნანოზაშვილი**

# ჰერბერტ ცანკერმა რუსეთს საქართველო გამოუცხადა



**5 და 7 ნოემბერს** საქართველოს 16-წლამდელთა ნაკრები თბილისში ორ ამხანაგურ შეხვედრას ჩაატარებს რუსეთის 16-წლამდელთა ნაკრებთან.

პირველი შეხვედრა 5 ნოემბერს თბილისის „ამერის" სტადიონზე გაიმართება, 7 ნოემბერს კი გუნდები „მერანის" სტადიონზე დაუპირისპირდებიან ერთმანეთს.

ორივე მატჩი 14 საათზე დაიწყება.

შეგახსენებთ, რომ ივლისში საქართველოს ნაკრები ესტუმრა რუსეთს ორი ამხანაგური შეხვედრის ჩასატარებლად. პირველი მატჩი ქართველმა ფეხბურთელებმა 2:1 მოიგეს, მეორეში კი მასპინძლებმა იმარჯვეს — 3:2.

ჰერბერტ ცანკერმა უკვე დაასახელა ის 23 ფეხბურთელი, რომლებიც დღეიდან შეკრებაზე გადავლენ:

***მეკარეები:*** *გიორგი ნადირაძე („დინამოს" აკადემია), არჩილ მაქაცარია („ბაია"), გიორგი კლარჯეიშვილი („ლოკომოტივი");*

***მცველები:*** *ბაქარ მირცხულავა („ტორპედო"), ირაკლი გულუა („ოლიმპის" აკადემია), გიორგი ქვარცხავა („ბაია"), მინდია ფუტკარაძე („ბათუმი"), ნიკა კვეკვესკირი („ბაია"), ბესიკ ამაშუკელი („მერანი");*

***ნახევარმცველები:*** *ნიკა ძალამიძე („ბაია"), ჯანო ანანიძე („დინამო", კიევი, უკრაინა), ნოშრევან ჯიშკარიანი („ოლიმპი"), გიორგი ჩელებაძე („ოლიმპიკი"), მერაბ მამულაძე („ბათუმი"), გია ხარლამოვი („ოლიმპის" აკადემია), გოგა ქვარაია („ლოკომოტივი"), ირაკლი რუხია (35-ე საფეხბურთო სკოლა), გიორგი ილურიძე („დინამოს" აკადემია), ირაკლი ქობალია („მერანი"), თორნიკე მეტრეველი („ოლიმპის" აკადემია);*

***თავდამსხმელები:*** *ირაკლი შეყილაძე („ბაია"), კონსტანტინე გაბაშვილი („ოლიმპის" აკადემია), გიორგი ვაშაკიძე („დინამოს" აკადემია).*

ეროვნული ბიბლიოთეკა

# გადამყიდველები ყოფილან...

**იციით,** ვინ არის დემიენ კომოლი? ეს გახლავთ ადამიანი, რომელსაც „ტოტენჰემ ჰოთსპურის“ აწ უკვე ყოფილი მწვრთნელი, ჰოლანდიელი მარტინ იოლი მის სამსახურიდან გაშვებას აბრალებს. იოლი ამბობს, რომ კომოლი — „მამლების“ სპორტულ საქმეთა დირექტორი — ის კაცია, რომელმაც გასულ ზაფხულს გამოცდილი ნახევარმცველი და მარცხენა გარემარბი არ აყიდვინა. სამაგიეროდ, უფალ დირექტორს, დარენ ბენტის, იუნეს კაბულის, კევინ ბოატენგისა და ადელ ტაარაბტის საყიდლად 30 მილიონი გირვანქა არ დანანებია.

იოლი: „ვგრძნობდი, რომ ამ შენაძენებით ჩვენი გუნდი დაუბალანსებელი რჩებოდა და როგორც დრომ დაამტკიცა, მართალიც ვყოფილვარ. და, სასაცილო რა არის, იცით? ის, რომ ეჭვი არ მეპარება, ახალი მწვრთნელი იმავე დასკვნას გამოიტანს და იანვრის სატრანსფერო ბაზარში იმ ორი მოთამაშის საყიდლად წავა, მე რომ მინდოდა“.

იოლს ელანოსა და მარტინ პეტროვის შეძენა სურდა. დღეს, ერთიცა და მეორეც „მანჩესტერ სიტიში“ გამოდის.

„როდესაც „ტოტენჰემის“ საფეხბურთო საქმეთა დირექტორი ფრენკი არნესენი იყო, ჩვენ ვიმსჯელეთ და გავარკვიეთ, ვინ გვჭირდებოდა და ვინ არა. სამწუხაროდ, მის შემცვლელთან ასეთივე საქმიანი ურთიერთობა არ ჩამომიყალიბდა. როგორც ჩანს, თავად კლუბმა შეცვალა პოლიტიკა და საჭიროზე მეტად ახალგაზრდა მოთამაშეების ყიდვას დახარბდა, რადგან მომავალში ამ ახალგაზრდების ძვირად გაყიდვას აპირებს. ერთი სიტყვით, „ტოტენჰემის“ სატრანსფერო პოლიტიკა სპორტულ პრინციპებზე არ გახლდათ აგებული...

...ამიტომაც იყო, ზაფხული რომ მოვიდა, ვიგრძენი, რომ ჩემი პოზიციის დაცვა საოცრად გამიჭირდებოდა“.

დამიენ კომოლის შეძენილ ახალგაზრდებს კი, ჯერჯერობით, ასეთი ბედი ეწიათ: ცენტრალური ნახევარმცველი კაბული „სფურზის“ ძირითადში რეგულარულად თამაშობს, თავდამსხმელს ბენტს შემადგენლობაში მოხვედრა უჭირს, ბოატენგი და ტაარაბტი კი ძირითადის სიახლოვესაც ვერ მიმოდიან.

როგორც ინგლისელი ჟურნალისტებისთვის გახდა ცნობილი, მარტინ იოლს კლუბის პრეზიდენტთან, დენიელ ლევისთანაც გვარიანი უსიამოვნება მოსვლია. როგორც კლუბში მომუშავენი ამბობენ, ორჯერ ისეთი ღრიალი იდგა, იქ გაჩერება შეუძლებელი იყოო. მოგეხსენებათ, ლევიმ იოლი უეფას თასზე „ხეტაფესთან“ დამარცხების შემდეგ დაითხოვა, რის შემდეგაც ჰოლანდიელი მას კაბინეტში შევარდნია და სულ „ფაქ-ფაქ“ უძახია.

ამ ამბის შემსწრე თანამშრომელი: „მარტინი გამხეცებული იყო, რადგან თავმჯდომარეს მისთვის სიტყვა ჰქონია მიცემული, თუ შენი გაშვება მომიხდება, ეს შენივე ღირსების მაქსიმალური დაცვით მოხდებაო. მარტინი ქუჩური ჟარგონით ლაპარაკობდა. ეს საშინელი მოსასმენი გახლდათ“.

მოგეხსენებათ, „ტოტენჰემ ჰოთსპურმა“ ორჯერ შესთავაზა მაშინ ჯერ კიდევ „სევილიას“ თავკაც ხუანდე რამოსს იოლის ადგილი ისე, რომ იოლს მისი გაშვების სურვილი არც გაუმჟღავნა.

**ბაკუნა ძიდია**





## ბასილეს კრესპო ახსოვს

**არგენტინის** ნაკრების მწვრთნელმა ალფიო ბასილემ განაცხადა, რომ გუნდში კვლავ გამოიძახებს „ინტერის“ ფორვარდ ერნან კრესპოს, ვინც ვენესუელასთან შესარჩევი მატჩი ტრავმის გამო გამოტოვა.

„კრესპო მსოფლიო კლასის ფეხბურთელია — თქვა ბასილემ — „ინტერმა“ გვთხოვა, მისთვის დასვენების საშუალება მიგვეცა, რადგან ასი პროცენტით მზად არ იყო და ვენესუელასთან ამიტომ არ ვუხმე, მაგრამ ნოემბერში ბოლივიასთან და კოლუმბიასთან შეხვედრისთვის აუცილებლად გამოვიძახებ“.

ერნან კრესპომ ამ სეზონში ოთხ მატჩში ორი გოლი გაიტანა.

**გაჩა ხუციშვილი**

სეზონის შუაგულში ხუანდე რამოსის „სევილიადან“ „ტოტენჰემში“ გადაბარგებამ ანდალუზიელები გაალიზიანა. „სევილიას“ პრეზიდენტმა დელ ნიდომ განაცხადა, რომ ლონდონელთა მხრიდან ფარული გარიგებების და მწვრთნელის „მოტაცების“ გამო სასამართლოს მიმართავს. ალბიონურ გუნდში კი სამხრეთელი ხუანდე მხსნელად გამოაცხადეს. იქაურებს იმედი აქვთ, რომ რამოსი „მამლებს“ ელიტაში დააბრუნებს. „გაქცეულ“ ხუანდეს მადრიდული „ასი“ გაესაუბრა...



AFP

# ჰაერის გამოცვლა

## ხუანდე რამოსი ინგლისურმა პრესამ გააკვირვა

**— ინგლისში თქვენს წასვლას ნეგატიური გამოძახილი მოჰყვა. „ტოტენჰემმა“ ძლიერი ესპანელი მწვრთნელი კი შეიძინა, მაგრამ მედიაში ქებაზე მეტად კრიტიკა ისმის...**

— ყველაფერი ძალიან ნორმალურად განვითარდა, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. ვფიქრობ, „სევილიაში“ ჩემი ყოფნა თავის ლოგიკურ დასასრულს მიუახლოვდა, რადგანაც უკვე საკმაო ხანი გავიდა, რაც ამ კლუბში მუშაობა დავიწყე და ინგლისში მინდოდა კარიერის გაგრძელება. „ტოტენჰემი“ დამიკავშირდა და უარი არ მითქვამს. ასეთი შანსი ყოველთვის არ მოგეცემა.

**— კი მაგრამ, რატომ მაინცდამაინც ახლა?**

— იმიტომ, რომ საამისო დრო მოვიდა. რამდენიმე არასტაბილური მატჩის შემდეგ „სევილიას“ და გუნდის ფანებს დაღლა შევნიშნე. მივხვდი, ამ გუნდს და მეც „ჰაერის გამოცვლა“ გვჭირდებოდა.

**— კიკე ფლორესი „ვალენსიადან“ დილის 4 საათზე დაითხოვეს, მაგრამ „ლამურათა“ პრეზიდენტს ნაკლები საყვედური შეხვდა, ვიდრე ხუანდე რამოსს...**

— კლუბებს სჩვევიათ ხოლმე ამა თუ იმ პიროვნებასთან უცბად გამომშვიდობება, ისე, რომ ვერც აცნობიერებენ, რა ზარალს აყენებენ. და თუ მწვრთნელმა გუნდიდან წასვლის გადაწყვეტილება თავად მიიღო, რასაკვირველია, საშინელი „ბოროტმოქმედია“! თუმცა რა ვქნათ, ფეხბურთი დღეს ამ კანონებით ცხოვრობს.

**— მართალია, რომ „სევილიამ“ აგვისტოში თქვენზე სხვა კლუბების სატრანსფერო შეტევები მოიგერია?**

— მქონდა შესაძლებლობა, კლუბი დამეტოვებინა, მაგრამ მაშინ კონტრაქტის გაწყვეტა არ მოვისურვე.

**— „ტოტენჰემ“ — „ხეტაფეს“ მატჩისას ამბობდნენ, რომ თქვენი ლონდონური ტრანსფერი უკვე გადაწყდა...**

— ის მძიმე საღამო იყო. „მამლებმა“ წააგეს, რამაც მოვლენები დააჩქარა და 24 საათში გადაწყდა ყველაფერი.

**— სევილიაში კი ფულხარბს, „პესეტეროს“ გეძახიან...**

— ფეხბურთი ასეთია და მეც ვცდილობ, ამის გამო არ ავღელდე — დღეს მსოფლიო ფეხბურთში გმირიდან ერთ წამში შეიძლება განკიცხულად იქცე. 20 წელიწადია, პროფესიული სამწვრთნელო კარიერა მაქვს და ჩემი ყველაზე დიდი ოცნება პრემიერლიგაში მუშაობა იყო.

**— რითი დაგაჯერათ „ტოტენჰემმა“?**

— უპირველეს ყოვლისა, იმ ინტერესით, რაც ჩემდამი გამოიჩინეს. ძალიან მოინდომეს, რათა მე მათთან თანამშრომლობაზე დავთანხმებულიყავი.

**— ინგლისურ კლუბში მწვრთნელის გარდა სხვა ფუნქციაც ხომ არ გეჭნებათ?**

— ამ კლუბში ესპანურის მსგავსი საფეხბურთო ფილოსოფიაა — მე სამწვრთნელო შტაბს ვუხელმძღვანელებ, სპორტული დირექტორი კი თავის მოვალეობებს შეასრულებს.

**— ადრე თქვით, რომ „ტოტენჰემი“ გრანდებს წააგავს...**

— გუნდი დღეს არასახარბიელო სიტუაციაშია, თუმცა ინგლისის 5 უძლიერეს კლუბში შედის. „ტოტენჰემი“ რომ ელიტარული კლუბია, ეს ფეხბურთელების, ახალი მენეჯერისა და მისი თანაშემწეებისადმი მოპყრობაშიც მჟღავნდება. შესანიშნავი დახვედრა მომიწყვეს, მედიამაც ამ ამბავს უზარმაზარი ყურადღება მიაქცია.

**— თუ იცით, რომ „ტოტენჰემი“ საბოლოოდ ყოველთვის იმაზე ნაკლებ შედეგს სჯერდება, ვიდრე ამას მისგან მოელიან?**

— დიახ, მაგრამ ამქვეყნად ყველაფრის გამოსწორება შეიძლება. სასიკეთო ცვლილებებს მოვახდენთ და იმედია, ეს ჩემი მწვრთნელობის დროს მოხდება.

**— ინგლისურის სწავლის. საქმე როგორ მიდის?**

— ენას საკმარისად ვფლობ, რათა ფეხბურთელებთან მუშაობა მოვახერხო, მაგრამ მარკოსი და გუსტავოც მეხმარებიან. მთავარია, მოთამაშეებმა ჩვენი აზრი სწორად გაიგონ.

**— ამბობენ, რომ ფეხბურთელები თქვენს დანიშვნას დიდი იმედით შეხვდნენ...**

— განწყობა კლუბში დადებითია და ბიჭებიც, როგორც ვხედავ, გამარჯვებისთვის თავს არ ზოგავენ. ცოტა იღბალიც თუ ხელს შეგვიწყობს და სასურველ შედეგებს მივაღწევთ, საკუთარი ძალებისადმი რწმენას აღვიდგენთ და მუშაობაც გაგვიადვილდება.

**— ინგლისში 4-4-2 სქემით ითამაშებთ?**

— სქემა თამაშს არ იგებს. განსაკუთრებით უნდა გაისარჯო, რათა ისეთი იდეალური სისტემა იპოვო, რომელსაც ფეხბურთელები ბრმად მიენდობიან. მინდა, გუნდმა მოინდომოს და საერთო ცვლილებების დადებით რიტმს აჰყვეთ.

**— ინგლისური გაზეთები აცხადებენ, რომ ალვეშის და კანუტის ყიდვა გინდათ...**

— გაკვირვებული ვარ, რადგანაც ინგლისური პრესის ამ მხარეს არ ვიცნობდი — ყველაფერი გამოიგონეს... მინდოდა, „ტოტენჰემის“ მწვრთნელის რანგში პირველი სიტყვები სამშაბათის პრესკონფერენციაზე მეთქვა და ამიტომაც ადრე არავისთან მისაუბრია. არ ვიცი, კანუტის და ალვეშის ამბავი საიდან მოიტანეს, ამას მე ვერ ვაკონტროლებ და ძალიან გაბრაზებული ვარ.

**— ესე იგი, „სევილიადან“ არავის წაყვანას არ აპირებთ?**

— არც „სევილიადან“ და არც სხვა რომელიმე გუნდიდან არავის წაყვანას არ ვგეგმავ. ჯერ ის ფეხბურთელები უნდა გავიცნო, რომლებთანაც მუშაობა მომიწევს.

**— „სევილიას“ პრეზიდენტი ხოსე მარია დელ ნიდოც აცხადებს, რომ „მამლებთან“ თქვენი გარიგების გამო უაღრესად გაბრაზებულია...**

— მას სიტყვის თავისუფლება აქვს და ამას ვერავინ დაუშლის. დელ ნიდოს შეუძლია, რაც უნდა ის თქვას, ოღონდ ზედმეტების გარეშე, რა თქმა უნდა.

**— ინგლისში გადასვლის მიუხედავად, სევილიელებთან მეგობრული ურთიერთობა შეინარჩუნეთ?**

— დიახ. დელ ნიდოსაც დავემშვიდობე და ფეხბურთელებსაც — „სევილიაში“ გატარებული შესანიშნავი წლებისთვის მათ მადლობა გადავუხადე.

# ტერი მტერი?

## ასს მინუს ოთხი ექვსი კვირის უთამაშებლობისთვის

„ჩელსის“ მწვრთნელი აბრაამ გრანტი ამბობს, რომ მისი გუნდისა და ინგლისის ნაკრების კაპიტანმა ჯონ ტერიმ 21 ნოემბერს ხორვატიის ეროვნულ გუნდთან შეხვედრის წინ საკლუბო დონეზე ერთხელ მაინც უნდა ითამაშოს.

მოგეხსენებათ, ტერიმ მუხლის ოპერაცია გაიკეთა და ახლა ჯანმრთელობის აღდგენის პერიოდი აქვს. როგორც ამბობენ, ის გამალებით ცდილობს, ინგლისის ნაკრების თამაშისთვის მზად იყოს, ვინაიდან ამ მატჩს ინგლისელთა ევრო 2008-ზე მოხვედრა-ვერმოხვედრის თვალსაზრისით უდიდესი მნიშვნელობა აქვს.

და რა თამაში აქვს პრემიერლიგაში „ჩელსის“ ინგლის — ხორვატიის დაპირისპირების წინ? ეს გახლავთ 11 ნოემბრის თამაში „ევერტონის“ წინააღმდეგ, რომლის შემდეგაც კაპიტანს — თუ ის ითამაშებს — 9 თავისუფალი დღე დარჩება. ბევრია ეს 9 დღე თუ ცოტა? ნაკრების გადასახედიდან ასე მალე, 11 ნოემბერს, მოედანზე გასვლა და ნატკენი მუხლის რისკის ქვეშ დაყენება შეცდომაა, კლუბის გადასახედიდან კი ამოდენა დასვენება იმისათვის, რომ 21-ში ნაკრებს სრულიად გამოჯანმრთელებული ჩაბარდე, კლუბის ღალატია.

შეგახსენებთ, რომ ამასწინათ პრობლემა „კლუბი ნაკრების წინააღმდეგ“ „ნიუკასლ იუნაიტედსაც“ ედგა.

„კაჭკაჭების“ თავკაც სემ ალარდაისს ეროვნულ გუნდში ახალნაოპერაციევი მაიკლ ოუენის გაშვება არ უნდოდა.

შეგახსენებთ, რომ ფიფას კანონის თანახმად, ნებისმიერი კლუბი ვალდებულია, თავისი ფეხბურთელი ნაკრებში თამაშამდე ხუთი დღით ადრე გაუშვას, მაგრამ მდიდარი „ჩელსი“ თავისას ამტკიცებს.

ლონდონელები ამბობენ, რომ თუ ტერი სანაკრებო შეხვედრამდე კლუბში არ ითამაშებს, გუნდიდან მოიკვეთება.



აბრაამ გრანტი




ფრენკ ლამპარდი

ამასობაში კი „ჩელსის“ კიდევ ერთი ინგლისელი ვარსკვლავი ფრენკ ლამპარდი „ლურჯების“ ასიანთა კლუბთან არის ძალიან ახლოს — ოთხი გოლიც და, იგი იმ ჩელსელთა რიცხვში შევა, ვისაც ამ გუნდის მაისურით ასი გოლი აქვს გატანილი. აი, რა საქმე გააკეთა ოთხშაბათს „ლესტერის“ კარში სამი გოლის შეგდებამ.

„ჩემი გუნდის შემადგენლობაში ასი გოლის გატანასთან ვარ ძალიან ახლოს და ამას რომ შევძლებ, ბედნიერი კაცი ვიქნები — განუცხადა ლამპარდმა ჟურნალისტებს — ასი გოლი ძალიან მრავლისმეტყველი რიცხვია. მე „ჩელსის“ დიდი ვარსკვლავების [illegible] მოვჩნდები და ამით [illegible].

და რამდენ „ლურჯს“ [illegible] ასგოლიანი ზღვარი გადალახული? ასეთი შვიდი ყოფილა, რომელთაგან პირველია ბობი ტემბლინგი (202). საინტერესოა, რომ ამ 202 გოლიდან ტემბლინგმა პირველი 1959 წელს „ვესტ ჰემს“ გაუტანა, „ვესტ ჰემი“ კი ლამპარდის მშობლიური გუნდი გახლავთ. 2001 წელს 11 მილიონ გირვანქის სანაცვლოდ „ჩელსიმ“ იგი სწორედ „ჩაქუჩებისგან“ იყიდა.

„ბარძაყის კუნთის გაწყვეტის გამო ამ საზონის დასაწყისში დაახლოებით ექვსი კვირა გამიცდა და ეს ექვსი კვირა ჩემთვის საშინელი გადასატანი გახლდათ. ახლა თავს კარგად და დასვენებულად ვგრძნობ და თამაში მწყურია. მერწმუნეთ, როდესაც ფეხბურთელი თავის ფეხებს ექვსი კვირის განმავლობაში არ დატვირთავს მოედანზე დაბრუნებული საოცარი ჟინით არის შეპყრობილი. „ლესტერთან“ კაპიტანი რომ ვიყავი, ძალიან სასიამოვნო იყო, მაგრამ ამით არაფერი იცვლება. ჩვენ საუცხოო კაპიტანი, ჯონ ტერი გვყავს და ერთსულოვანნი ვართ. როდესაც კაპიტნის სამკლავური ჯონს უკეთია, მე მას მხარს ვუჭერ და ვცდილობ, ჩემი საქმე გავაკეთო. იმედი მაქვს, ჩემი ასეთი დამოკიდებულება სხვა ფეხბურთელებსაც ედებათ“.

**ბაჩუნა ძედია**

| XII ტური | | |
|---|---|---|
| **დღეს** | | |
| არსენალი | : | მანჩესტერი |
| ასტონ ვილა | : | დერბი |
| ბლექბერნი | : | ლივერპული |
| ევერტონი | : | ბირმინგემი |
| ფულემი | : | რედინგი |
| მიდლსბრო | : | ტოტენჰემი |
| ნიუკასლი | : | პორტსმუთი |
| უიგანი | : | ჩელსი |
| **ხვალ** | | |
| ვესტ ჰემი | : | ბოლტონი |
| **ზეგ** | | |
| სიტი | : | სანდერლენდი |

# ინგლისი

## თოფები გიჟების წინააღმდეგ

**19 აგვისტოს** თანაქალაქელ „სიტისთან“ წაგების შემდეგ „მანჩესტერ იუნაიტედმა“ ყველა მატჩი მოიგო და საუცხოოდ მოთამაშე გუნდი დაუმარცხებელ „არსენალს“ ქულებით გაუთანაბრდა.

დღეს „ემირატს სტედიუმზე“ არსენ ვენგერის და სერ ალექს ფერგიუსონის მორიგი, პრემიერლიგის კლასიკად ქცეული დუელი შედგება.

ხუთშაბათს 21 წელი შესრულდა, რაც ფერგიუსონმა „მანჩესტერი“ ჩაიბარა და სეზონის ასეთი ბრწყინვალე დასაწყისი აქამდე არ ჰქონია.

4:0, 4:1, 4:2, 4:1 — ასეთი გიჟური ანგარიშებით მოიგო „მანჩესტერმა“ ბოლო ოთხი მატჩი (მათ შორის, ერთი ჩემპიონთა ლიგაში) და გუნდის ფორვარდები ერთიმეორეზე უკეთეს ფორმაში არიან.

„არსენალის“ დიდმეგოლე ტიერი ანრი „ბარსელონაში“ წავიდა, მაგრამ ვარაუდების საპირისპიროდ, „მეთოფეებს“ უფრანგობა არ დაეტყოთ, პირიქით — ახალგაზრდები, ფრანსესკ ფაბრეგასის თამადობით, შესანიშნავად თამაშობენ. პატარა ესპანელმა ყველა შეჯიბრში 10 გოლი მიითვალა, ხოლო ადებაიორმა პრემიერლიგაში ექვსი.

უკვე 17 მატჩია, „არსენალი“ არც ერთ ტურნირში არ დამარცხებულა. გასულ უქმეებზე „ლივერპული“ უგებდა „მეთოფეებს“, მაგრამ სეზონში პირველი წაგებისგან ვენგერის გუნდი ფაბრეგასმა იხსნა.

გარდა იმისა, რომ უძლეველები არიან, „არსენალმა“ ჩემპიონატში თუ ჩემპიონთა ლიგაში ყველა საშინაო მატჩში იმარჯვა.

მასპინძლებს ტრავმის გამო რობინ ვან პერსი და ფილიპ სენდეროსი დააკლდებათ, სტუმრებს კი ძირითადი შემადგენლობის ყველა ფეხბურთელი ჯანზე ჰყავთ. გარი ნევილიც მომჯობინდა და გამორიცხული არ არის, დღეს სასტარტოში მოხვდეს.

წინა სეზონში „არსენალმა“ ორივე მატჩი მოუგო „მანჩესტერს“. შინ ვან პერსის და ანრის გოლებით, „ოლდ ტრაფორდზე“ კი ადებაიორმა გაიტანა.

ამასობაში ლიდერებს წამოეწია „ჩელსი“, რომელმაც მიჯრით სამ შეხვედრაში იმარჯვა და გოლი არ გაუშვა, წინა ტურში კი „სიტი“ 6:0 გაანადგურა.

დღეს „ჩელსი“ უიგანს ეწვევა და ალბათ მოგება არ გაუჭირდება გუნდთან, რომელმაც ზედიზედ ხუთი მატჩი წააგო.

„ლივერპულს“ კი მძიმე ბრძოლა ელის ბლექბერნში მარკ ჰიუზის გუნდთან, რადგან „ბლექბერნი“ ძალიან კარგ ფორმაშია — ერთიმეორის მიყოლებით ოთხი შეხვედრა მოიგო და მეხუთე ადგილს უწია. თავის მხრივ, „ლივერპულმა“ უკლო და ამიტომაც ჩამოქვეითდა მეექვსეზე.

რაფაელ ბენიტესი სამ ფეხბურთელს ვერ დაიხმარს — ხაბი ალონსო, ფერნანდო ტორესი და დანიელ აგერი ტრავმირებულნი არიან, სამაგიეროდ, მომჯობინდნენ ფაბიო აურელიო, ალვარო არბელოა და ხავიერ მასკერანო.

„ტოტენჰემის“ ახალი მწვრთნელის ხუანდე რამოსის პრემიერლიგური დებიუტი დღეს მიდლსბროში შედგება. ესპანელის თავკაცობით „მამლებმა“ შუა კვირაში ლიგის თასზე „ბლექპულს“ მოუგეს.

„მიდლსბრომ“ ზედიზედ ოთხი წააგო და „ტოტენჰემსაც“ ცუდი ჟამი უდგას, მაგრამ სტუმრებს ძალიან ეიმედებათ ახალი მწვრთნელის.

**მაჩა ხუციშვილი**

| № | | 1 | 2 | 3 | 4 | 5 | 6 | 7 | 8 | 9 | 10 | 11 | 12 | 13 | 14 | 15 | 16 | 17 | 18 | 19 | 20 | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | არსენალი | | | 1:0 | | | | 3:1 | | | | | | | 2:1 | 3:2 | | | | 2:0 | 5:0 | 10 | 8 | 2 | 0 | 22:7 | 26 | 6 | 0 | 0 | 16:4 | 18 | 2 | 2 | 0 | 6:3 | 8 |
| 2 | მანჩესტერი | | | | 2:0 | | | | | | | | 0:0 | | | 1:0 | 4:0 | 4:1 | 1:0 | | | 11 | 8 | 2 | 1 | 19:4 | 26 | 5 | 1 | 0 | 12:1 | 16 | 3 | 1 | 1 | 7:3 | 10 |
| 3 | სიტი | | 1:0 | | | | | | 3:1 | | 1:0 | | | 1:0 | | | | 3:1 | | | 1:0 | 11 | 7 | 1 | 3 | 15:13 | 22 | 6 | 0 | 0 | 10:2 | 18 | 1 | 1 | 3 | 5:11 | 4 |
| 4 | ჩელსი | | | 6:0 | | 0:0 | | 1:0 | | | | | | 3:2 | 0:0 | | | | | | | 11 | 6 | 3 | 2 | 16:8 | 21 | 3 | 2 | 0 | 10:2 | 11 | 3 | 1 | 2 | 6:6 | 10 |
| 5 | ბლექბერნი | 1:1 | | 1:0 | | | | 0:1 | | | | | 4:2 | 2:1 | | | | | | | | 10 | 6 | 3 | 1 | 15:9 | 21 | 3 | 1 | 1 | 8:5 | 10 | 3 | 2 | 0 | 7:4 | 11 |
| 6 | ლივერპული | 1:1 | | | 1:1 | | | | | | | | | 0:0 | | | | | 2:2 | | 6:0 | 10 | 5 | 5 | 0 | 17:6 | 20 | 1 | 4 | 0 | 10:4 | 7 | 4 | 1 | 0 | 7:2 | 13 |
| 7 | პორტსმუთი | | 1:1 | | | | 0:0 | | | | | 0:0 | 7:4 | | | | | | | 3:1 | | 11 | 5 | 4 | 2 | 19:12 | 19 | 2 | 3 | 0 | 11:6 | 9 | 3 | 1 | 2 | 8:6 | 10 |
| 8 | ნიუკასლი | | | | | | | | | 3:2 | 0:0 | 3:1 | | | | | 1:0 | | 3:1 | | | 10 | 5 | 2 | 3 | 17:13 | 17 | 4 | 1 | 0 | 10:4 | 13 | 1 | 1 | 3 | 7:9 | 4 |
| 9 | ევერტონი | | 0:1 | | | 1:1 | 1:2 | | | | | | | | | | 2:1 | 2:0 | | | | 11 | 5 | 1 | 5 | 15:13 | 16 | 2 | 1 | 2 | 6:5 | 7 | 3 | 0 | 3 | 9:8 | 9 |
| 10 | ასტონ ვილა | | 1:4 | | 2:0 | | 1:2 | | | 2:0 | | 1:0 | | | 2:1 | | | | | | | 10 | 4 | 3 | 3 | 14:13 | 15 | 4 | 0 | 2 | 9:7 | 12 | 0 | 3 | 1 | 5:6 | 3 |
| 11 | ვესტ ჰემი | 0:1 | | 0:2 | | | | | | | | | | | | 3:1 | 1:1 | 3:0 | | | | 10 | 4 | 2 | 4 | 12:9 | 14 | 2 | 1 | 2 | 7:5 | 7 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 |
| 12 | რედინგი | | | | 1:2 | | | | 2:1 | 1:0 | | 0:3 | | | | | 2:1 | | | | 1:0 | 11 | 4 | 1 | 6 | 14:23 | 13 | 4 | 0 | 2 | 7:7 | 12 | 0 | 1 | 4 | 7:16 | 1 |
| 13 | ბირმინგემი | | 0:1 | | | | | | | | | 0:1 | | | | 2:2 | 3:2 | | | 1:0 | | 11 | 3 | 2 | 6 | 11:15 | 11 | 2 | 1 | 2 | 6:6 | 7 | 1 | 1 | 4 | 5:9 | 4 |
| 14 | ფულემი | | | 3:3 | | | | 0:2 | | | | | | | | | | 1:2 | 3:3 | 2:1 | 0:0 | 11 | 1 | 6 | 4 | 13:17 | 9 | 1 | 3 | 2 | 9:11 | 6 | 0 | 3 | 2 | 4:6 | 3 |
| 15 | სანდერლენდი | | | | | 1:2 | 0:2 | | | | | | 2:1 | | 1:1 | | | | 1:0 | | | 11 | 2 | 3 | 6 | 12:20 | 9 | 2 | 1 | 2 | 5:6 | 7 | 0 | 2 | 4 | 7:14 | 2 |
| 16 | უიგანი | | | | | | 0:1 | 0:2 | | | | | | | 1:1 | 3:0 | | 1:0 | | | | 11 | 2 | 2 | 7 | 10:17 | 8 | 2 | 1 | 2 | 5:4 | 7 | 0 | 1 | 5 | 5:13 | 1 |
| 17 | მიდლსბრო | | | | 0:2 | 1:2 | | | 2:2 | | | | | 2:0 | | 2:2 | | | | | | 11 | 2 | 2 | 7 | 11:22 | 8 | 1 | 2 | 2 | 7:8 | 5 | 1 | 0 | 5 | 4:14 | 3 |
| 18 | ტოტენჰემი | 1:3 | | | | 1:2 | | | | 1:3 | 4:4 | | | | | | | | | | 4:0 | 11 | 1 | 4 | 6 | 18:23 | 7 | 1 | 1 | 3 | 11:12 | 4 | 0 | 3 | 3 | 7:11 | 3 |
| 19 | ბოლტონი | | | | 0:1 | | | | 1:3 | 1:2 | 1:1 | | 3:0 | | | | | | 1:1 | | | 11 | 1 | 3 | 7 | 10:17 | 6 | 1 | 2 | 3 | 7:8 | 5 | 0 | 1 | 4 | 3:9 | 1 |
| 20 | დერბი | | | | | | | 2:2 | 1:0 | 0:2 | | | | 1:2 | | | | | | 1:1 | | 11 | 1 | 3 | 7 | 5:24 | 6 | 1 | 2 | 2 | 5:7 | 5 | 0 | 1 | 5 | 0:17 | 1 |



# ალექსი და ჟოზე

**ინგლისური** „მანჩესტერ იუნაიტედის" მწვრთნელი ალექს ფერგიუსონი ამბობს, რომ პრემიერლიგა ჟოზე მაურინიუს ვეღარ იხილავს.

არადა, მართლა რა საინტერესოა ეს ცხოვრება: როგორც ირკვევა, ფერგიუსონსა და მაურინიუს საჯარო ურთიერთკრიტიკისა და მწარესიტყვაობის მიღმა ჩინებული ურთიერთობა ჰქონიათ და პორტუგალიელის „ჩელსიდან" წასვლის შემდეგ თურმე ერთმანეთს საკმაოდ ხშირად ურეკავენ კიდეც.

ერთი სიტყვით, იმ ჟურნალისტებმა, რომლებიც აქამდე ამ ორი მწვრთნელის დაპირისპირებას აღწერდნენ, ახლა დაწერეს, რომ ფერგის მაუს ამბები დაეჯერება.

აი, კერძოდ, რა თქვა „მანჩესტერის" თავკაცმა:

| 15015 | სტოკი-ქოვენთრი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15016 | ვულვერჰემპტონი-ბრისტოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15017 | ბარნსლი-პრესტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15018 | ნორვიჩი-იფსვიჩი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15019 | პლიმუთი-უენსდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15020 | ქპრ-პალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15021 | სკანთორპი-კრისტალ პალასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15022 | შეფილდი-ბარნსლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15023 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15024 | კოლჩესტერი-ლესტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15039 | ბარნსლი-ბლეკპული | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15077 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15078 | ფოლკირკი-გრეტნა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15079 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15080 | კილმარნოკი-სელტიკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15082 | მაზერუელი-სტ.მირენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15102 | ლევერკუზენი-არმინია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15103 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15104 | ჰამბურგი-ჰერტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15105 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15106 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15109 | კარლსრუე-დუისბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15113 | ფრაიბურგი-კობლენცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15114 | აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15116 | პადერბორნი-მაინცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15118 | ვენი-მიუნხენი 1860 | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15144 | აუსტრია კერნტენი-შტურმი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15145 | ალტახი-აუსტრია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15147 | მატერსბურგი-ლინცერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15148 | ტიროლი-ზალცბურგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15150 | რაპიდი-რიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15194 | ლივორნო-უდინეზე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15196 | ნაპოლი-რეჯინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15197 | პარმა-სიენა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15198 | კალიარი-სამპდორია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15199 | კატანია-ატალანტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15200 | ემპოლი-რომა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15202 | ჯენოა-პალერმო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15203 | იუვენტუსი-ინტერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15204 | ლაციო-ფიორენტინა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15275 | ლევანტე-ალმერია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15276 | სარაგოსა-ვალიადოლიდი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15279 | ოსასუნა-ხეტაფე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15280 | ბილბაო-უელვა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15281 | რასინგი-ესპანიოლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15282 | მურსია-დეპორტივო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15283 | მალიორკა-ვალენსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15284 | სევილია-რეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15286 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15287 | ჰერკულესი-სოსიედადი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15288 | კორდობა-კასტელონი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15289 | ალავესი-ეიბარი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15290 | სალამანკა-ეხიდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15291 | ტენერიფე-ლას პალმასი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15292 | გრანადა -ელჩე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15293 | კადისი-ხერესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15294 | სევილია ბ-ალბასეტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15295 | მალაგა -ნუმანსია | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15296 | ტარაგონა-სპორტინგი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15297 | სელტა-ფეროლი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15298 | ოსერი-ლილი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15299 | კანი-ლე მანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15300 | ლანსი-სტ.ეტიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15301 | ლიონი-ვალენსიენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15302 | მარსელი-ლორიანი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15303 | ნანსი-ბორდო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15304 | ნიცა-სოშო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15305 | რენი-მონაკო | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15307 | სტრასბური-პსჟ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15308 | ტულუზი-მეცი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15311 | ბასტია-მონპელიე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15314 | კლერმონი-ნიორი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15317 | ლე ავრი-გენგამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15321 | შარლერუა-დენდერი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15324 | ბეერსხოტი-რუზელარე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15325 | ლოკერენი-გენკი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15326 | მეხელენი-ბრიუსელი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15328 | მონსი-სერკლე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15329 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15341 | ჰერენვენი-პსვ | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15343 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15344 | ექსელსიორი-სპარტა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15345 | უტრეხტი-ბრედა | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15350 | ჰერაკლესი-ტვენტე | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15351 | გრონინგენი-ვიტესი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15358 | დენ ჰააგი-ვეენდამი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15360 | ვალვაიკი-როზენდალი | 3.00 | 2.80 | 2.00 |
| 15361 | ოსი-დენ ბოსხი | 3.00 | 2.80 | 2.00 |

## რომელი გუნდი გახსნის მატჩში ანგარიშს

(მატჩის 0-0 დამთავრების შემთხვევაში, ორივე ფსონი წაგებად ჩაითვლება)

| | | | |
|---|---|---|---|
| 14003 | არსენალი-მანჩესტერი | 1.85 | 1.95 |
| 14004 | ასტონ ვილა-დერბი | 1.20 | 2.60 |
| 14005 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.30 | 2.50 |
| 14006 | ფულემი-რედინგი | 1.75 | 2.10 |
| 14007 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.95 | 1.85 |
| 14008 | ნიუკასლი-პორტსმუთი | 1.75 | 2.10 |
| 14009 | ბლექბერნი-ლივერპული | 2.00 | 1.80 |
| 14010 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1.45 | 2.40 |
| 14012 | სიტი-სანდერლენდი | 1.30 | 2.50 |
| 14015 | სტოკი-ქოვენთრი | 1.70 | 2.20 |
| 14016 | ვულვერჰემპტონი-ბრისტოლი | 1.70 | 2.20 |
| 14017 | ბარნსლი-პრესტონი | 1.80 | 2.00 |
| 14018 | ნორვიჩი-იფსვიჩი | 2.00 | 1.80 |
| 14019 | პლიმუთი-უენსდი | 1.65 | 2.30 |
| 14020 | ქპრ-პალი | 1.80 | 2.00 |
| 14021 | სკანთორპი-კრისტალ პალასი | 1.75 | 2.10 |
| 14022 | შეფილდი-ბარნსლი | 1.65 | 2.30 |
| 14023 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.80 | 2.00 |
| 14024 | კოლჩესტერი-ლესტერი | 1.80 | 2.00 |
| 14039 | ბარნსლი-ბლეკპული | 1.70 | 2.20 |
| 14077 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.75 | 2.10 |
| 14078 | ფოლკირკი-გრეტნა | 1.30 | 2.50 |
| 14079 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 1.75 | 2.10 |
| 14080 | კილმარნოკი-სელტიკი | 2.60 | 1.20 |
| 14082 | მაზერუელი-სტ.მირენი | 1.45 | 2.40 |
| 14102 | ლევერკუზენი-არმინია | 1.30 | 2.50 |
| 14103 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.85 | 1.95 |
| 14104 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.30 | 2.50 |
| 14105 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1.85 | 1.95 |
| 14106 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.80 | 2.00 |
| 14109 | კარლსრუე-დუისბურგი | 1.65 | 2.30 |
| 14113 | ფრაიბურგი-კობლენცი | 1.30 | 2.50 |
| 14114 | აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.75 | 2.10 |
| 14116 | პადერბორნი-მაინცი | 2.20 | 1.70 |
| 14118 | ვენი-მიუნხენი 1860 | 1.95 | 1.85 |
| 14144 | აუსტრია კერნტენი-შტურმი | 1.85 | 1.95 |
| 14145 | ალტახი-აუსტრია | 2.20 | 1.70 |
| 14147 | მატერსბურგი-ლინცერი | 1.70 | 2.20 |
| 14148 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.40 | 1.45 |
| 14150 | რაპიდი-რიდი | 1.30 | 2.50 |
| 14194 | ლივორნო-უდინეზე | 1.95 | 1.85 |
| 14196 | ნაპოლი-რეჯინა | 1.30 | 2.50 |
| 14197 | პარმა-სიენა | 1.65 | 2.30 |
| 14198 | კალიარი-სამპდორია | 1.80 | 2.00 |
| 14199 | კატანია-ატალანტა | 1.80 | 2.00 |
| 14200 | ემპოლი-რომა | 2.50 | 1.30 |
| 14202 | ჯენოა-პალერმო | 1.80 | 2.00 |
| 14203 | იუვენტუსი-ინტერი | 1.90 | 1.90 |
| 14204 | ლაციო-ფიორენტინა | 1.90 | 1.90 |
| 14275 | ლევანტე-ალმერია | 1.90 | 1.90 |
| 14276 | სარაგოსა-ვალიადოლიდი | 1.30 | 2.50 |
| 14279 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.70 | 2.20 |
| 14280 | ბილბაო-უელვა | 1.70 | 2.20 |
| 14281 | რასინგი-ესპანიოლი | 1.80 | 2.00 |
| 14282 | მურსია-დეპორტივო | 1.80 | 2.00 |
| 14283 | მალიორკა-ვალენსია | 1.90 | 1.90 |
| 14284 | სევილია-რეალი | 1.95 | 1.85 |
| 14286 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1.75 | 2.10 |
| 14287 | ჰერკულესი-სოსიედადი | 1.80 | 2.00 |
| 14288 | კორდობა-კასტელონი | 1.75 | 2.10 |
| 14289 | ალავესი-ეიბარი | 1.75 | 2.10 |
| 14290 | სალამანკა-ეხიდო | 1.70 | 2.20 |
| 14291 | ტენერიფე-ლას პალმასი | 1.45 | 2.40 |
| 14292 | გრანადა -ელჩე | 1.85 | 1.95 |
| 14293 | კადისი-ხერესი | 1.70 | 2.20 |
| 14294 | სევილია ბ-ალბასეტე | 1.45 | 2.40 |
| 14295 | მალაგა -ნუმანსია | 1.70 | 2.20 |
| 14296 | ტარაგონა-სპორტინგი | 1.85 | 1.95 |
| 14297 | სელტა-ფეროლი | 1.65 | 2.30 |
| 14298 | ოსერი-ლილი | 1.75 | 2.10 |
| 14299 | კანი-ლე მანი | 1.90 | 1.90 |
| 14300 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.75 | 2.10 |
| 14301 | ლიონი-ვალენსიენი | 1.20 | 2.60 |
| 14302 | მარსელი-ლორიანი | 1.45 | 2.40 |
| 14303 | ნანსი-ბორდო | 1.80 | 2.00 |
| 14304 | ნიცა-სოშო | 1.70 | 2.20 |
| 14305 | რენი-მონაკო | 1.70 | 2.20 |
| 14307 | სტრასბური-პსჟ | 1.90 | 1.90 |
| 14308 | ტულუზი-მეცი | 1.45 | 2.40 |
| 14311 | ბასტია-მონპელიე | 1.80 | 2.00 |
| 14314 | კლერმონი-ნიორი | 1.65 | 2.30 |
| 14317 | ლე ავრი-გენგამი | 1.30 | 2.50 |
| 14321 | შარლერუა-დენდერი | 1.30 | 2.50 |
| 14324 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.65 | 2.30 |
| 14325 | ლოკერენი-გენკი | 1.90 | 1.90 |
| 14326 | მეხელენი-ბრიუსელი | 1.75 | 2.10 |
| 14328 | მონსი-სერკლე | 2.00 | 1.80 |
| 14329 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 2.20 | 1.70 |
| 14341 | ჰერენვენი-პსვ | 2.20 | 1.70 |
| 14343 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1.20 | 2.60 |
| 14344 | ექსელსიორი-სპარტა | 1.75 | 2.10 |
| 14345 | უტრეხტი-ბრედა | 1.75 | 2.10 |
| 14350 | ჰერაკლესი-ტვენტე | 2.10 | 1.75 |
| 14351 | გრონინგენი-ვიტესი | 1.75 | 2.10 |
| 14358 | დენ ჰააგი-ვეენდამი | 1.45 | 2.40 |
| 14360 | ვალვაიკი-როზენდალი | 1.45 | 2.40 |
| 14361 | ოსი-დენ ბოსხი | 2.20 | 1.70 |

## ფრეს გარეშე (ძირ დრო)

| | | | |
|---|---|---|---|
| 16004 | ასტონ ვილა-დერბი | 1.10 | 5.50 |
| 16005 | ევერტონი-ბირმინგემი | 1.22 | 3.40 |
| 16006 | ფულემი-რედინგი | 1.52 | [illegible] |
| 16007 | მიდლსბრო-ტოტენჰემი | 1.85 | [illegible] |
| 16008 | ნიუკასლი-პორტსმუთი | [illegible] | 2.45 |
| 16009 | ბლექბერნი-ლივერპული | 2.05 | 1.65 |
| 16010 | ვესტ ჰემი-ბოლტონი | 1.24 | 3.60 |
| 16012 | სიტი-სანდერლენდი | 1.17 | 4.10 |
| 16015 | სტოკი-ქოვენთრი | 1.38 | 2.65 |
| 16016 | ვულვერჰემპტონი-ბრისტოლი | 1.40 | 2.55 |
| 16017 | ბარნსლი-პრესტონი | 1.55 | 2.20 |
| 16018 | ნორვიჩი-იფსვიჩი | 1.95 | 1.65 |
| 16019 | პლიმუთი-უენსდი | 1.30 | 3.00 |
| 16020 | ქპრ-პალი | 1.55 | 2.20 |
| 16021 | სკანთორპი-კრისტალ პალასი | 1.50 | 2.30 |
| 16022 | შეფილდი-ბარნსლი | 1.30 | 3.00 |
| 16023 | საუთჰემპტონი-ჩარლტონი | 1.55 | 2.20 |
| 16024 | კოლჩესტერი-ლესტერი | 1.62 | 2.05 |
| 16039 | ბარნსლი-ბლეკპული | 1.40 | 2.55 |
| 16077 | აბერდინი-დანდი იუნაიტედი | 1.45 | 2.45 |
| 16078 | ფოლკირკი-გრეტნა | 1.22 | 3.40 |
| 16079 | ჰიბერნიანი-ჰართსი | 1.45 | 2.45 |
| 16080 | კილმარნოკი-სელტიკი | 4.10 | 1.17 |
| 16082 | მაზერუელი-სტ.მირენი | 1.23 | 3.60 |
| 16102 | ლევერკუზენი-არმინია | 1.14 | 4.70 |
| 16103 | ნიურნბერგი-შტუტგარტი | 1.80 | 1.85 |
| 16104 | ჰამბურგი-ჰერტა | 1.22 | 3.40 |
| 16105 | ბოხუმი-ვოლფსბურგი | 1.80 | 1.85 |
| 16106 | ჰანოვერი-დორტმუნდი | 1.62 | 2.05 |
| 16109 | კარლსრუე-დუისბურგი | 1.30 | 3.00 |
| 16113 | ფრაიბურგი-კობლენცი | 1.14 | 4.70 |
| 16114 | აუგსბურგი-კაიზერსლაუტერნი | 1.52 | 2.20 |
| 16116 | პადერბორნი-მაინცი | 2.30 | 1.48 |
| 16118 | ვენი-მიუნხენი 1860 | 1.80 | 1.85 |
| 16144 | აუსტრია კერნტენი-შტურმი | 1.80 | 1.85 |
| 16145 | ალტახი-აუსტრია | 2.30 | 1.48 |
| 16147 | მატერსბურგი-ლინცერი | 1.38 | 2.65 |
| 16148 | ტიროლი-ზალცბურგი | 2.90 | 1.32 |
| 16150 | რაპიდი-რიდი | 1.22 | 3.40 |
| 16194 | ლივორნო-უდინეზე | 2.05 | 1.65 |
| 16196 | ნაპოლი-რეჯინა | 1.17 | 4.10 |
| 16197 | პარმა-სიენა | 1.32 | 3.00 |
| 16198 | კალიარი-სამპდორია | 1.58 | 2.10 |
| 16199 | კატანია-ატალანტა | 1.55 | 2.20 |
| 16200 | ემპოლი-რომა | 3.60 | 1.23 |
| 16202 | ჯენოა-პალერმო | 1.65 | 2.05 |
| 16203 | იუვენტუსი-ინტერი | 1.82 | 1.82 |
| 16204 | ლაციო-ფიორენტინა | 1.80 | 1.80 |
| 16275 | ლევანტე-ალმერია | 1.82 | 1.82 |
| 16276 | სარაგოსა-ვალიადოლიდი | 1.14 | 4.70 |
| 16279 | ოსასუნა-ხეტაფე | 1.34 | 2.80 |
| 16280 | ბილბაო-უელვა | 1.38 | 2.65 |
| 16281 | რასინგი-ესპანიოლი | 1.62 | 2.05 |
| 16282 | მურსია-დეპორტივო | 1.55 | 2.20 |
| 16283 | მალიორკა-ვალენსია | 1.80 | 1.85 |
| 16284 | სევილია-რეალი | 1.85 | 1.80 |
| 16286 | ატლეტიკო-ვილიარეალი | 1.45 | 2.45 |
| 16287 | ჰერკულესი-სოსიედადი | 1.62 | 2.05 |
| 16288 | კორდობა-კასტელონი | 1.50 | 2.30 |
| 16289 | ალავესი-ეიბარი | 1.50 | 2.30 |
| 16290 | სალამანკა-ეხიდო | 1.40 | 2.55 |
| 16291 | ტენერიფე-ლას პალმასი | 1.24 | 3.60 |
| 16292 | გრანადა -ელჩე | 1.80 | 1.85 |
| 16293 | კადისი-ხერესი | 1.40 | 2.55 |
| 16294 | სევილია ბ-ალბასეტე | 1.24 | 3.60 |
| 16295 | მალაგა -ნუმანსია | 1.40 | 2.55 |
| 16296 | ტარაგონა-სპორტინგი | 1.80 | 1.85 |
| 16297 | სელტა-ფეროლი | 1.32 | 3.00 |
| 16298 | ოსერი-ლილი | 1.50 | 2.30 |
| 16299 | კანი-ლე მანი | 1.80 | 1.85 |
| 16300 | ლანსი-სტ.ეტიენი | 1.52 | 2.20 |
| 16301 | ლიონი-ვალენსიენი | 1.11 | 5.70 |
| 16302 | მარსელი-ლორიანი | 1.24 | 3.60 |
| 16303 | ნანსი-ბორდო | 1.62 | 2.05 |
| 16304 | ნიცა-სოშო | 1.38 | 2.65 |
| 16305 | რენი-მონაკო | 1.38 | 2.65 |
| 16307 | სტრასბური-პსჟ | 1.82 | 1.82 |
| 16308 | ტულუზი-მეცი | 1.24 | 3.60 |
| 16311 | ბასტია-მონპელიე | 1.55 | 2.20 |
| 16314 | კლერმონი-ნიორი | 1.30 | 3.00 |
| 16317 | ლე ავრი-გენგამი | 1.17 | 4.10 |
| 16321 | შარლერუა-დენდერი | 1.14 | 4.70 |
| 16324 | ბეერსხოტი-რუზელარე | 1.30 | 3.00 |
| 16325 | ლოკერენი-გენკი | 1.80 | 1.85 |
| 16326 | მეხელენი-ბრიუსელი | 1.45 | 2.45 |
| 16328 | მონსი-სერკლე | 1.80 | 1.80 |
| 16329 | სტ.ტრუიდენი-გენტი | 2.30 | 1.45 |
| 16341 | ჰერენვენი-პსვ | 2.40 | 1.45 |
| 16343 | ალკმაარი-ნაიმეგენი | 1.12 | 4.60 |
| 16344 | ექსელსიორი-სპარტა | 1.52 | 2.20 |
| 16345 | უტრეხტი-ბრედა | 1.50 | 2.30 |
| 16350 | ჰერაკლესი-ტვენტე | 2.05 | 1.65 |
| 16351 | გრონინგენი-ვიტესი | 1.50 | 2.30 |
| 16358 | დენ ჰააგი-ვეენდამი | 1.24 | 3.60 |
| 16360 | ვალვაიკი-როზენდალი | 1.23 | 3.60 |
| 16361 | ოსი-დენ ბოსხი | 2.30 | 1.48 |

# ვერიდან ზალცბურგამდე

## ევროპიჭებს დღედღეზე ჩამოთვლიან

სამი დღის წინ ვერის ბალში 23-წლამდელ ძიუდოისტთა საქართველოს ჩემპიონატი დასრულდა. საუკეთესოებით ის შვიდეული უნდა შეიკრას, 24-25 ნოემბერს ზალცბურგში, ევროპის ჩემპიონატზე საქართველოს ღირსებას რომ დაიცავს. ავსტრიაში ნაკრებს ახალგაზრდების თავკაცი ბორია ფირცხელიანი წაიყვანს. რჩეულებს იგი ოფიციალურად უახლოეს დღეებში დაასახელებს. იქამდე კი ფირცხელიანის ჩემპიონატისშემდგომ კომენტარს გთავაზობთ. ზალცბურგის გუნდის გამოცნობა აქედანაც შეიძლება. მწვრთნელს ჩემპიონატის და თითოეული წონითი კატეგორიის შეფასება ვთხოვეთ.



**ბორია ფირცხელიანი:** „საევროპო შემადგენლობა საქართველოს ჩემპიონატის შედეგებით რომ უნდა დაკომპლექტებულიყო, ეს ადრევე ითქვა და ამიტომაც იყო, თითქმის ყველა უძლიერესი ძიუდოისტი რომ გავიდა ტატამზე. რა თქმა უნდა, გვქონდა წინასწარი პროგნოზები, რომლებიც 90 პროცენტით გამართლდა. იყო სიურპრიზებიც, რამაც ძალიან გამახარა. თუმც ჯობს, წონების მიხედვით მივყვეთ.

**60 კგ**

ამირან პაპინაშვილისგან ჩემპიონობას ველოდი და ამ ბიჭმა იმედები გაამართლა. ერთხელაც დაამტკიცა, რომ 23-წლამდელებში თავისი წონის ლიდერია.

**66 კგ**

დავით ასუმბანიც აქამდე 60 კილოგრამში გამოდიოდა და ნაკრების ერთ-ერთ უმთავრეს კანდიდატად ითვლებოდა, მაგრამ ახლა ერთი წონით მაღლა აინაცვლა და შემიძლია დაზუსტებით გითხრათ, დაბლა აღარასოდეს დაეშვება, რადგან 66-შიც წონის დაკლება დასჭირდა. დათო ძალიან ჭკვიანია და ყოველთვის თავისი შესაძლებლობის მაქსიმუმს ავლენს. მისგან კარგ ჭიდაობას ახლაც ველოდი, მაგრამ სიმართლე გითხრათ, არ მეგონა პირველსავე ცდაზე თუ ოქროს მედალს აიღებდა. აქვე ვიტყვი, რომ ამ წონით კატეგორიაში უდიდესი შიდა კონკურენციაა. მტკიცებულებად თუნდაც მარტო სერგო ციხელაშვილის და სანდრო იაკობაშვილის ხსენება იკმარებს.

**73 კგ**

დავით კუპრეიშვილი თავიდანვე ერთ-ერთ ფავორიტად მიიჩნეოდა, მაგრამ არა ერთადერთად. რამდენიმე წონისგან განსხვავებით აქ პროგნოზის გაკეთება ცოტა საძნელო საქმე იყო. ჩემპიონმა თავისი უპირატესობა დაამტკიცა და ევროპის ჩემპიონატზე ჭიდაობაც გაინაღდა. ამ წონაში რამდენიმე ახალი ნიჭიერი ძიუდოისტი გამოჩნდა, რამაც ძალიან გამახარა.

**81 კგ**

ჩემპიონობის უმთავრესი კანდიდატი საბა გავაშელიშვილი იყო, ფინალამდე მშვენივრადაც მივიდა, მაგრამ გადამწყვეტ ბრძოლაში წააგო. ამ შეხვედრას დიდი დავაკამათი მოჰყვა და მსაჯების შეცდომებზე ბევრი საუბრობს. ნაკრების მწვრთნელი ვარ და აქტიურ სჯაბაასში ჩარევას თავი შეგნებულად ავარიდე, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ამ საკითხს უყურადღებოდ დავტოვებ. არსებობს ვიდეოფირი, რომელსაც ამ დღეებში ფედერაციაში გულდასმით ვნახავთ და თუ უსამართლობას შევნიშნავთ, არ გამოვრიცხავ ფინალურ წყვილს საკონტროლო შეხვედრაც მოვუწყოთ. რაც შეეხება ჩემპიონ დავით ჭაბუკაშვილს, ძალიან ძლიერი ბიჭია. მთელი ჩემპიონატი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და მჯერა, წინ არაერთი წარმატება ელის.

**90 კგ**

ვალერი ლიპარტელიანი 18 წლისაა და უკვე 20-წლამდელთა ევროპის ჩემპიონობა მოასწრო. მის ასაკში თითოეულ წელს დიდი მნიშვნელობა აქვს და ძალიან მაინტერესებდა, შეძლებდა თუ ვერა თავისზე 3-4 წლით უფროსებთან ჩვეულად ჭიდაობას. მთელი ტურნირი უმაღლეს დონეზე ჩაატარა და დამარწმუნა, რომ ევროპის ჩემპიონობისთვის ბრძოლა 23-წლამდელებშიც რეალურად შეუძლია.

**100 კგ**

ნამდვილად არ ველოდი შავლეგ ბერუაშვილის ოქროს მედალს. იგი ხომ 94-95 კილოგრამია და ბევრით მძიმე მეტოქეებთან უხდებოდა დაჭიდება, თორემ ძალასა და შესაძლებლობაში ეჭვი არ შემპარვია. ამ დადებით თვისებებს შავლეგმა უდიდესი მონდომება დაუმატა, იწვალა, იშრომა და კარგი სიურპრიზიც გამიკეთა.

**+100 კგ**

ფინალში ადამ ოქრუაშვილის და ლევან მუქერიას შეხვედრას და ადამის ჩემპიონობას ველოდი. ამ უკანასკნელმა ტურნირი მოიგო კიდეც, მაგრამ ისე, რომ მუქერიას არ დასჭიდებია. ლევანმა ჯერ ნახევარფინალში გადასასვლელი ბრძოლა წააგო, მერე კი სულაც უმედლოდ დარჩა. როგორც ჩანს, 17 წლის ძიუდოისტს გადაღლილობამ დაატყო ხელი. ახალგაზრდულ ევროპის ჩემპიონატზე მან მძიმე ბრძოლები გადაიტანა".

**ოთარ ზაღლაქელიძე**






მალხაზ ჭეიშვილმა ერთი თასისთვის გუნდი შეკრიბა

# მსოფლიოს ერთა მოჰყვა

**10 ნოემბერს** საქართველოს ეროვნული ნაკრები 2008 წლის ერთა თასის გათამაშების პირველ შეხვედრაში პორტუგალიის ეროვნულ გუნდს უმასპინძლებს. ამა თუ იმ წლის ერთა თასის მატჩები გათამაშების წინა წლის შემოდგომით ადრეც გამართულა და ამჯერადაც ასეთ შემთხვევას აქვს ადგილი.

მსოფლიოს თასმოვლილი ქართველი „ლელოები" 5 ნოემბერს შეიკრიბებიან თბილისში და მატჩამდე ვარჯიშებს „შევარდენის" სპორტულ ბაზაზე გამართავენ.

„ლელოები" სახეცვლილი შემადგენლობით დაუხვდებიან სტუმრებს. მალხაზ ჭეიშვილმა მსოფლიოს თასზე ნათამაშები ოცდაორეულიდან ცამეტი კაცი შეიყვანა ამ ფორმაციის ნაკრებში. დანარჩენი ცხრიდან ერთია დებიუტანტი, ანტონ ფეიქრიშვილი. სხვებს კი მანამდეც აქვთ მორგებული ეროვნული ფორმა. პორტუგალიისთვის გამოძახებული იყო ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული მოთამაშე და საფრანგეთში ნამიბიის დამღელოვებელი ირაკლი მაჩხანელიც, მაგრამ ჩვენებური გარემარბი თავისმა კლუბმა „მონ დე მარსმა" არ გამოუშვა. მაჩხანელს რეზო გიგაური შეცვლის.

ძირითადში ათ ნომრად კვლავ და კვლავ მერაბ კვირიკაშვილი მოიაზრება, აი, ცხრა ნომერზე ირაკლი აბუსელიძე დადგება თუ ბიძინა სამხარაძე, მწვრთნელი მატჩამდე რამდენიმე დღით ადრე გადაწყვეტს.

**ზურაბ მიგრიაული**

### ლელოები პორტუგალიასთან

**უკანა ხაზი:** გიორგი ელიზბარაშვილი, რეზო გიგაური, თემურ სოხაძე, ბესიკ ხამაშურიძე, გიორგი შკინინი, დავით კაჭარავა, ირაკლი გიორგაძე, მერაბ კვირიკაშვილი, ბიძინა სამხარაძე, ირაკლი აბუსერიძე

**შერკინება:** ილია მაისურაძე, რატი ურუშაძე, გიორგი ჩხაიძე, ბესიკ უდესიანი, შალვა სუთიაშვილი, ლევან დათუნაშვილი, მამუკა გორგოძე, იური ნატრიაშვილი, ანტონ ფეიქრიშვილი, ირაკლი ჭყონია, დავით გასვიანი, გიორგი ჟღენტი

# ქართული რაგბი მეოთხეს ელის

**ამ უქმეებზე** „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე საქართველოს ჩემპიონატის ბოლო, მეათე ტურის მატჩები გაიმართება. დღეს „დინამო" — „ლიგამუსის" და „ლელო" — „არმაზის" ჯახება, ხოლო ხვალ „სინათლის" სტადიონზე თსუ — „ყოჩები" შეერკინებიან ერთმანეთს. შეგახსენებთ, რომ „ლიგამუსი" სახელგამოცვლილი „ლოკომოტივია".

ეროვნულ ჩემპიონატში მონაწილე ექვსი გუნდიდან პლეი ოფში ოთხი საუკეთესო გააგრძელებს ბრძოლას. პირველი სამეული გარკვეულია და ამ რჩეულებს ჩემპიონატიდან გამოთიშვა უკვე აღარ ემუქრებათ. ესენი არიან: „ლელო", „ყოჩები" და ლიგამუსი". აუტსაიდერებიდან კი სამივეს თანაბარი ქულები აქვს და ამიტომ ბოლო ტურში გაირკვევა, რომელი გავა პლეი ოფში. ისე მოხდა, რომ ბოლო ტურში მაჩანჩალები ლიდერებს ეჯახებიან. არ არის გამორიცხული, სამივე მათგანმა წააგოს და ასეთ საქმეში უკვე სტატისტიკა ჩაერთვება.

ფავორიტმა გუნდებმა ჩემპიონატის მიწურულს შემადგენლობაც გააძლიერეს. მაგალითად, „ლიგამუსს" დაუბრუნდნენ ძმები მაისურაძეები, ხოლო „ყოჩებმა" მენაკრებე კაჭარავები დაიმატეს.

„ლოლო" მეცხრე ტურში ოდნავ ინერტულად გამოიყურებოდა, მაგრამ დღეს „არმაზის" დამარცხება მაინც არ უნდა გაუჭირდეს. ასე რომ, მობრძანდით „ლოკომოტივის" სათადარიგო მოედანზე და ისიამოვნეთ ქართული რაგბით.

**ზურაბ მიგრიაული**

3 ნოემბერი. „ლოკომოტივი"

**დინამო — ლიგამუსი**

**ლელო — არმაზი**

4 ნოემბერი. „სინათლე"

**თსუ — ყოჩები**

| | თ | მ | ფ | წ | სხ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლელო | 9 | 7 | 0 | 2 | +134 | 14 |
| ყოჩები | 9 | 6 | 0 | 3 | +20 | 12 |
| ლოკომოტივი | 9 | 5 | 0 | 4 | +71 | 10 |
| თსუ | 9 | 3 | 0 | 6 | -18 | 6 |
| დინამო | 9 | 3 | 0 | 6 | -69 | 6 |
| არმაზი | 9 | 3 | 0 | 6 | -88 | 6 |

## წყალბურთი

# თაოზა მიდის

## ნაცნობი პრობლემები წყალზე ტივტივებს


სოსო მაისურაძე

**დიდი** ხანია, საქართველოს წყალბურთელთა ნაკრებზე არაფერი დაგვიწერია. გუშინ ნაკრების თავკაც სოსო მაისურაძეს იმ იმედით შევეხმიანეთ, რომ რამე პოზიტიურს გვეტყოდა. მით უმეტეს, ბოლოხანს ქვეყანაში სპორტული ბაზების მშენებლობის მხრივ სასიკეთო ძვრებია. წყალბურთელებს ხომ მუდმივად აუზის პრობლემა აწუხებთ.

11 დეკემბერს უკრაინის ღია პირველობა იწყება, სადაც ჩვენები ბოლო წლების მანძილზე გამოდიოდნენ, თუმც ახლა იქ გამოსვლაც საეჭვო გახდა იმის გამო, რომ ფედერაციას ტურნირში მონაწილეობისთვის გადასახდელი თანხა არ აქვს...

*სოსო მაისურაძე* — იმედი გვქონდა, რომ აქ კლუბის ჩამოყალიბებას მოვახერხებდით და რამდენიმე ლეგიონერი ჩამოსვლაზე შევითანხმეთ. ზურა რურუამ, ზურა ჭუმბურიძემ, კოტე გეგელაშვილმა მოსკოვის „ცსკა"-ს კონტრაქტი აღარ გაუგრძელეს, მაგრამ რა გამოვიდა, აქ, ფაქტობრივად, ვერ ვარჯიშობენ. კლუბს ვინღა ჩივის, დღეში მხოლოდ ერთხელ გვეძლევა ვარჯიშის საშუალება „ქარიშხალას" კომპლექსზე. იმის გამო, რომ პერსპექტივა ველარ დაინახა, ხუთმა კაცმა სხვაგან მუშაობა დაიწყო. მიხეილ ბალათურია სულაც ყაზახეთში წავიდა ორი კვირის წინ და იქ თამაშობს. დიდი შანსია, ამ ქვეყნის მოქალაქეობა მიიღოს და ნაკრებშიც ათამაშონ. შეიძლება, ოლიმპიადაზე გამოსვლის შესაძლებლობა მიეცეს. 20 წლის პერსპექტიული ბიჭი, ფაქტობრივად, დავკარგეთ.

არადა, ეს ისეთი ბიჭები არიან, რომ დაბრუნდნენ, საკუთარ კლუბებში ისევ მიიღებენ, ჩვენ და მათაც კი გვინდა, რომ აქ ითამაშონ.

მალე უკრაინის ღია პირველობა იწყება, ჩვენ კი შესატანი თანხა კვლავ არ გვაქვს. 16 ნოემბერს იქაურ მხარეს პასუხი უნდა გავუგზავნოთ მონაწილეობის შესახებ. ტურნირზე რომ დაგვიშვან, 1500 დოლარი უნდა გადავურიცხოთ. თუ ფინანსები იქნება, ლეგიონერები ჩამოსვლას არ დაიზარებენ. გული მიკვდება, როცა წარმოვიდგენ, ეს თაობაც რომ დაგვეკარგოს. 7-8 წელი ამათ შევყურებდით და რა გამოვა, თუ ვერ ვათამაშეთ. არადა, როცა აქ რეზო ჩომახიძე ჩამოვიდა, მითხრა, თუ სერიოზული ხალხი გააკეთებს კლუბს, შეიძლება, ვითამაშოო. ამხელა გამოცდილების მქონე სპორტსმენის აქ ყოფნა უდიდესი სტიმული იქნებოდა ბიჭებისთვის. ცალკე გამოცდილებას გაუზიარებდა და...

მოკლედ, თხოვნა გვაქვს ყველასთან, ვისაც ჩვენი დახმარება შეუძლია, ნუ დაგვაკარგვინებთ ამ უნიჭიერეს თაობას!

**ლევან მაისურაძე**

## ჩოგბურთი

# არ გეტკინა არგენტინა?

## ნალბანდიანმა ფედერერი ისევ დაჩოქა

**კაცები. მასტერსი**
**პარიზი. საფრანგეთი**
**ხალიჩა (დარბაზი)**
**საპრიზო 2082500 ევრო**

**მესამე წრე**

დავიდ ნალბანდიანი (არგენტინა) — როჯერ ფედერერი (1, შვეიცარია) 6:4 7:6; დავიდ ფერერი (5, ესპანეთი) - ტომაშ ბერდიხი (12, ჩეხეთი) 6:4 6:2; რიშარ გასკე (10, საფრანგეთი) — ჯეიმს ბლეიკი (6, აშშ) 6:4 6:4; მიხაილ იუჟნი (რუსეთი) — ტომი ჰაასი (9, გერმანია) 6:4 1:6 6:3

**მეოთხედფინალი**

მარკოს ბაღდატისი (კვიპროსი) — ტომი რობრედო (8, ესპანეთი) 6:4 6:4

ტომაშ ბერდიხი, ჯეიმს ბლეიკი, ტომი ჰაასი და ტომი რობრედო — ამ ჩოგბურთელებს მხოლოდ ის აერთიანებთ, რომ წლის შემაჯამებელ ტურნირზე მოსახვედრად იბრძოდნენ და გუშინ ამ ოცნების ასრულების ყველანაირი შანსი დაკარგეს. ეს კი იმას ნიშნავს, რომ შანხაიში წასვლა ფერნანდო გონსალესმა გაინაღდა — ჩილელი რეიტინგში მეშვიდე ადგილზე კი იყო, მაგრამ პარიზში პირველივე წრეში წააგო და მასტერსის თასზე თამაში სათუო გახადა, მაგრამ მდევართა ასეთმა მასობრივმა წარუმატებლობებმა სამხრეთამერიკელს აზიის ბილეთი გამოუწერა.

აქედან გამომდინარე, მასტერსის თასზე ერთი ადგილიღა დარჩა თავისუფალი, რომელზეც პრეტენზიას რეალურად მხოლოდ ორი მჩოგნე აცხადებს — ენდი მიურეი და რიშარ გასკე. ისინი ერთმანეთს მეოთხედფინალში დაეტაკებიან და ჩხრეთის საგზურსაც ის გამოჰყვება.

გუშინ ერთი მოულოდნელობაც მოხდა — დავიდ ნალბანდიანმა ათიოდ დღის წინანდელი გმირობა გაიმეორა და როჯერ ფედერერი ისევ მიჩოგნა, თან ამჯერად სეტიც არ აალებინა. ისე, შვეიცარიელს წლეულს არგენტინელებმა მაგრად გაუშრეს სისხლი — ჯერ იყო და, მარტი-აპრილის გასაყარზე გილერმო კანასმა მოუგო ორჯერ, რაც საჩოგბურთო სამყაროს მთავარი სალაპარაკო თემა იყო სამი-ოთხი თვის განმავლობაში, ახლა კი როჯერს იგივე ნალბანდიანმაც დამართა, რომელმაც გუშინდელი წარმატებით შვეიცარიელთან ურთიერთშეხვედრების ანგარიში გააყაიმა — 8:8.

**კახა ლომჯარიძე**

# ისევ წავიდა

## ჰინგისს სისხლში კოკაინი აღმოაჩნდა



**მარტინა ჰინგისი** წლეულს ძალიან გააწამეს ტრავმებმა და როცა ორიოდ დღის წინ ჟურნალისტებთან შეხვედრა მოინდომა, ეჭვი არავის ეპარებოდა, რომ შვეიცარიელი ჩოგბურთიდან თავის ხელმეორედ წასვლას გამოაცხადებდა. ჰოდა, გუშინ ბაზელის ერთ-ერთ სასტუმროში, სხვათა შორის, იქ, სადაც ორი წლის წინ მარტინამ ჩოგბურთში დაბრუნების შესახებ აცნობა მსოფლიოს, მილეთის ხალხი შეიკრიბა. ისინი ელოდნენ, რომ ჭარბი ემოციებისგან აცრემლებული ჰინგისი ჩოგბურთს გამოეთხოვებოდა. მაგრამ ის, რაც გუშინ მოხდა, ბომბის აფეთქებას უფრო ჰგავდა. ჰინგისი მართლაც ტიროდა, მაგრამ სულ სხვა მიზეზის გამო. როგორც აღმოჩნდა, მარტინას ისისთვის შეუკრებია პრესის წარმომადგენლები, რომ ეცნობებინა — წლევანდელ უიმბლდონზე აღებულ მის სისხლის სინჯში კოკაინი აღმოუჩენიათ.

ამის გამოცხადების შემდეგ დარბაზი მეხდაკრულივით გაიყინა და დადუმდა, ჰინგისმა კი მართლაც გამოაცხადა ჩოგბურთიდან წასვლის შესახებ. მარტინამ იქვე დაამატა, ნარკოტიკს ცხოვრებაში არ გავკარებივარ და ბოლომდე ვიბრძოლებ ჩემი პატიოსანი სახელის აღსადგენადო. შვეიცარიელმა ეს განცხადება წაიკითხა თუ არა, დარბაზი მაშინვე დატოვა და პრესის კითხვებზე პასუხის გაცემა არ ინდომა.

სამწუხაროა, როცა ჩოგბურთის ერთ-ერთ სახედ ქცეულ გოგონას ასეთ ნოტაზე უწევს კარიერის დასრულება.

**კახა ლომჯარიძე**

## ჭადრაკი

## ევროპის გუნდური ჩემპიონატი

**კრეტა. საბერძნეთი. 27 ოქტომბერი — 7 ნოემბერი**

# ქალები ოქროს უახლოვდებიან

**ქართველმა** ქალებმა ზედიზედ მეოთხე პარტია მოიგეს, მეორე ადგილზე დამკვიდრდნენ და ლიდერ პოლონეთს ერთი ქულით მიუახლოვდნენ. მომდევნო შეხვედრას ჩვენები სწორედ ლიდერებთან გამართავენ და თუ მოუგეს, ადგილსაც წაართმევენ.

მეხუთე ტურში ქართველებმა საბერძნეთის პირველი გუნდი 3:1 დაამარცხეს. თავიანთი შეხვედრები მოიგეს პირველ დაფაზე მაია ჩიბურდანიძემ და მესამეზე ნანა ძაგნიძემ. ჩიბურდანიძემ თეთრებით ელენა დემბო დაამარცხა, ძაგნიძემ კი მარინა მაკროპულო. მეორეზე ნინო ხურციძე შავებით ანა-მარია ბოტსარს დაუზავდა, მეოთხეზე მოთამაშე მაია ლომინეიშვილი კი ეკატერინ ფახიროდს.

კაცებში რუსეთის ნაკრები დაწინაურდა. ჩვენმა ჩრდილოეთმეზობლებმა უშუალო კონკურენტ აზერბაიჯანს 0,5:3,5 მოუგეს და მეოთხეზე ჩააბრძანეს. 4:0 იმარჯვეს ჩვენმა ვაჟებმა და ცხრილში 8 საფეხურით წაიწიეს. პირველ დაფაზე ბაადურ ჯობავამ თეთრებით ლუკ ვინანტს მოუგო, მეორე შავებით თამაზ გელაშვილმა რიჩარდ პოლაცზეკს, მესამეზე დავით არუთინიანმა თეთრებით ბრუნო ლაურენტს, ხოლო მეოთხეზე მერაბ გაგუნაშვილმა კემილ გულბასს.

**ლუკა გეგეჭკორი**

**კაცები**

| | |
|---|---|
| 1. რუსეთი | 10 (15) |
| 2. სლოვენია | 8 (13) |
| 3. ისრაელი | 8 (12,5) |
| 4. აზერბაიჯანი | 8 (12) |
| 5. ბულგარეთი | 7 (10,5) |
| ... | |
| 17. საქართველო | 5 (12) |

**ქალები**

| | |
|---|---|
| 1. პოლონეთი | 9 (15) |
| 2. საქართველო | 8 (14,5) |
| 3. რუსეთი | 8 (13,5) |
| 4. სლოვენია | 8 (13) |
| 5. უნგრეთი | 7 (14) |

## ჰოკეი

## NHL რეგულარული ჩემპიონატი

**1 ნოემბერი**

**ბოსტონი 4:3 ბუფალო**
*0:0 2:1 1:2 1:0*
1:0 მეტროპოლიტი (23), 2:0 კესელი (28), 2:1 აფინოგენოვი (38), 2:2 კემბელი (43), 3:2 სავარი (44), 3:3 გოსტადი (49), 4:3 შტურმი (65)

**აილენდერსი 4:0 ტამპა**
*1:0 2:0 1:0*
1:0 გერინი (14), 2:0 ვასიჩეკი (33), 3:0 ფედოტენკო (40), 4:0 ჰანტერი (46)

**რეინჯერსი 2:0 ვაშინგტონი**
*0:0 1:0 1:0*
1:0 დრური (27), 2:0 როჟივალი (50)

**მონრეალი 5:2 ფილადელფია**
*1:1 2:0 2:1*
1:0 კოივუ (9), 1:1 რიჩარდსი (17), 2:1 კოვალიოვი (28), 3:1 კოსტოპულოსი (32), 4:1 ლატენდრესი (49), 5:1 ჰიგინსი (57), 5:2

**კალგარი 1:4 დეტროიტი**
*1:2 0:1 0:1*
1:0 ტანგე (6), 1:1 ჰუდლერი (10), 1:2 ზეტერბერგი (11), 1:3 კლირი (26), 1:4 ზეტერბერგი (54)

**მინესოტა 2:3 სენტ ლუისი**
*1:0 1:2 0:1*
1:0 გაბორიკი (5), 1:1 ტკაჩუკი (25), 1:2 რუჩინსკი (29), 2:2 დემიტრა (39), 2:3 მაკეი (48)

**ოტავა 6:4 ატლანტა**
*1:0 4:0 1:4*
1:0 რობიტაილი (2), 2:0 რობიტაილი (22), 3:0 ივზი (23), 4:0 ფოლიანო (33), 5:0 ალფრედსონი (40), 5:1 კოვალჩუკი (50), 5:2 პერინი (53), 5:3 კოვალჩუკი (56), 5:4 კოვალჩუკი (58), 6:4 ალფრედსონი (60)

**კოლორადო 3:2 პიტსბურგი**
*0:2 3:0 0:0*
0:1 კროსბი (11), 0:2 კროსბი (19), 1:2 ლაილზი (31), 2:2 ვოლსკი (32), 3:2 ჟუიტი (34)

**ანაჰაიმი 2:1 კოლუმბუსი**
*0:0 0:0 1:1 0:0 (ბულიტები)*
1:0 ნიდერმაიერი (41), 1:1 ჟერდევი (44)

**ვანკუვერი 0:3 ნეშვილი**
*0:2 0:0 0:1*
0:1 ლეგვანდი (7), 0:2 ერატი (9), 0:3 არნოტი (60)

# ზეტერბერგი პირველია

**პირველი** სათამაშო თვე მიილია ნჰლ-ში, რომლის საუკეთესო მოთამაშედაც „დეტროიტის" ლიდერი ჰენრიკ ზეტერბერგი დაასახელეს. ამაში გასაკვირი არც არაფერია, რადგანაც შვედმა სეზონი დიდებულად დაიწყო და ბომბარდირთა დავასაც 24 ქულით (12+12) ლიდერობს. ყველაფერთან ერთად ზეტერბერგს ოქტომბერში ყინული არც ერთხელ არ დაუტოვებია უქულოდ და მისმა შედეგიანმა სერიამ უკვე 14 მატჩს უწია. ჰენრიკის თაოსნობით კი „წითელფრთიანები" ლიგაში საუკეთესოები არიან.

მეორე ვარსკვლავობა „კოლუმბუსის" კარის დარაჯ პასკალ ლეკლერს ერგო, რომელიც ოქტომბერში საშუალოდ სულ რაღაც 1,25 შაიბას უშვებდა და დარტყმულის 95,3 პროცენტს იგერიებდა. თან ლეკლერმა ოთხჯერ მშრალად შეინახა კარები.

ოქტომბრის საუკეთესო მოთამაშეთა სამეულში „კალგარის" კაპიტანი ჯერომ იგინლაც მოხვდა, რომელმაც გასულ თვეს 19 ქულა (8+11) მოინაგრა და ბომბარდირთა დავაში მესამე ადგილს იყოფს მატს სუნდინთან ერთად.

**კახა ლომჯარიძე**

## საქართველოს ჩემპიონატი

# სტუდენტური დიპლომატია

## ავიამშენი ფორმას ეძებს

**დღეს რუსთავში სუპერლიგის მესამე ტური „ენერჯი-ინვესტსა" და „მაკაბის" მატჩით იწყება, თუმც ცენტრალურად კვირას სპორტის სასახლეში გასამართი „ავიამშენი" — თსუ-ა მოწათლული. ძნელია, რომელიმე მატჩზე თქვა, გინდა თკ არა, აქ მეტი დაძაბულობა იქნებაო, მაგრამ რაკი დედაქალაქში იმართება, „მთავარი მატჩის" სტატუსი სტენტურ-ავიატორული შეხლას შერჩა. გუშინ კლუბ „თორმეტ მაგიდაში" ამ თამაშისადმი მიძღვნილი პრესკონფერენცია გაიმართა...**



ვაჟა მხეიძე და ნუგზარ ქეიშვილი

***ნუგზარ ქეიშვილი*, თსუ-ს *მწვრთნელი*** — მძიმე მატჩი გველის. „ავიამშენი" თავისი მოთამაშეებით, მწვრთნელებითა და ტიტულებით ძალიან ძლიერი მეტოქეა და, თქმა არ უნდა, რომ გაგვიჭირდება. თანაც ჩვენი რამდენმე მოთამაშე ტრავმირებულია. ვერ დაგვეხმარება დავით არწივაძე და ირაკლი ჯგერენაია, ხოლო ლაშა ლოსაბერიძე ავად იყო და ოპტიმალურ ფორმამდე ბევრი აკლია...

„ავიამშენს" აშკარა უპირატესობა აქვს. შანსებს 80/20-ზე შევაფასებდი მეტოქის სასარგებლოდ. მიუხედავად ამისა, ვეცდებით, „ავიამშენს" არაფერი დავუთმოთ. ბურთი მრგვალია და გამორიცხული არაფერია. ჩვენი წინა შეხვედრა ოქტომბერში, დუდუ დადიანის თასზე შედგა და მაშინ „ავიამშენმა" 20 ქულით დაგვამარცხა, თუმცა იმ თამაშიდან საჭირო დასკვნებიც გამოვიტანეთ. თან სულ სხვა დატვირთვა აქვს სპორტის სასახლეში თამაშს და იმას, რომ მატჩი პირდაპირი ეთერით გადაიცემა.

***მიხეილ ჩიტაშვილი*, თსუ-ს *გამთამაშებელი*** — ჩემი აზრით, თსუ-ს არ ჰყავს სუსტი შემადგენლობა, მაგრამ ჯერ ბევრი რამ გვაქვს დასახვეწი. შეთამაშება გვაკლია და იმედი მაქვს, ამ მინუსს მალე გამოვასწორებთ. „ავიამშენთან" შეხვედრაც კარგი გაკვეთილი იქნება საამისოდ...

პრესკონფერენციაზე ვერ მოვიდა შეუძლოდ მყოფი ლევან მოსეშვილი და ჟურნალისტებს „ავიამშენის" მეორე მწვრთნელი **ვაჟა მხეიძე** გაესაუბრა:

— თსუ არაა ხელწამოსაკარვი გუნდი, საკმაოდ რთული მატჩი გველის. საბედნიეროდ, ტრავმები არ გვაწუხებს, მაგრამ ჯერაც მოსამზადებელი პერიოდი გვიდგას და სასურველ ფორმამდე არ მივსულვართ. „ავიამშენი" გრაფიკით ემზადება, გეგმას მივყვებით და მალე ოპტიმალურ კონდიციამდეც მივალთ. ამ ჩემპიონატში ერთხელ უკვე წავაგეთ, მაგრამ საგანგაშო არაფერია. კონდიციებს რომ თავი დავანებოთ, ჩვენს რამდენიმე კალათბურთელს სპორტის სასახლეში თამაში გაუჭირდა — ირაკლი ხოშტარიასა და კოტე ტულუშს არა, მაგრამ სხვებს ამხელა არენაზე გამოსვლის ნაკლები გამოცდილება ჰქონდათ.

***კოტე ტულუში* „ავიამშენის" *გამთამაშებელი*** — ჩვენი გუნდი შენების პროცესშია და ყოველ მატჩში ახალ რაღაცას ვამუშავებთ. აი, თსუ-სთანაც რამე ახალ სათამაშო სქემას ვცდით და რამდენიმე ხანში საბოლოოდ ჩამოვყალიბდებით.

***ირაკლი ხოშტარია*, „ავიამშენის" *კაპიტანი*** — მე არ დავეთანხმები თსუ-ს მწვრთნელს, თითქოს შანსები 80/20-ზე იყოს ჩვენს სასარგებლოდ. ვფიქრობ, სერიოზული გამოცდა გველის და თუ ბოლომდე არ მოვინდომეთ, პრობლემები შეგვექმნება. ისე, ეს სტუდენტების ხერხია — ჯერ მოგადუნებენ, იტყვიან, უშანსოდ ვართო, და მერე სერიოზულ ბრძოლას გაგიმართავენ.

**ირაკლი ბერტაია**

## ევროლიგა 2007–08

### I ჯგუფური ეტაპი. II ტური. 31 ოქტომბერი-1 ნოემბერი

**A ჯგუფი**

**ცსკა 74:70 სიენა**
ცსკა: სმოდიში (16), პაპალუკასი (11)
სიენა: კაუკენასი (19), ლავრინოვიჩი (16)

**ჟალგირისი 82:72 პროკომი**
ჟალგირისი: მასიულისი (17), პოპოვიჩი (15)
პროკომი: გუროვიჩი (20), ბესტი (20)

**ტაუ 98:71 ვირტუსი**
ტაუ: რაკოჩევიჩი (23), ტელეტოვიჩი (18)
ვირტუსი: ჰოლანდი (27), ჯოვანონი (17)

**ოლიმპია 87:78 ოლიმპიაკოსი**
ოლიმპია: მილიჩი (16), ტეილორი (16)
ოლიმპიაკოსი: ჯექსონი (20), მასიაუსკასი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ცსკა | 2 | 0 | 162 | 139 | 23 |
| სიენა | 1 | 1 | 150 | 126 | 24 |
| ტაუ | 1 | 1 | 188 | 166 | 22 |
| ჟალგირისი | 1 | 1 | 157 | 153 | 4 |
| ოლიმპიაკოსი | 1 | 1 | 173 | 177 | -4 |
| უნიონი | 1 | 1 | 139 | 158 | -19 |
| ვირტუსი | 1 | 1 | 152 | 173 | -21 |
| პროკომი | 0 | 2 | 141 | 170 | -29 |

**B ჯგუფი**

**ეფესი 80:70 არმანი**
ეფესი: ნიკოლასი (16), გრეგორი (13)
არმანი: ბულერი (18), გეინესი (13)

**უნიკახა: 102:64 ციბონა**
უნიკახა: კუში (23), გაბრიელი (14)
ციბონა: კელი (14), აიუსო (13)

**ლიეტუვის რიტასი 92:74 მაკაბი**
რიტასი: იომანტასი (19), ლუკაუსკისი (16)
მაკაბი: ბინუმი (14), შარპი (12)

**ლე მანი 66:69 არისი**
ლე მანი: ბოგდანოვიჩი (18), ბატუმი (13)
არისი: ტერი (16), რაიტი (15)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| ლიეტუვოსი | 2 | 0 | 175 | 150 | 25 |
| არისი | 2 | 0 | 156 | 149 | 7 |
| უნიკახა | 1 | 1 | 185 | 151 | 34 |
| ეფესი | 1 | 1 | 165 | 163 | 2 |
| მაკაბი | 1 | 1 | 148 | 163 | -15 |
| ციბონა | 1 | 1 | 157 | 187 | -30 |
| ლე მანი | 0 | 2 | 137 | 143 | -6 |
| არმანი | 0 | 2 | 146 | 163 | -17 |

**C ჯგუფი**

**პანათინაიკოსი 66:61 ბამბერგი**
პანათინაიკოსი: იასიკევიჩუსი (11), სპანულისი (9)
ბამბერგი: სუპუტი (16), ენშმაიერი (11)

**როანი 87:88 პარტიზანი**
როანი: რუში (29), სეილერსი (20)
პარტიზანი: პეკოვიჩი (23), ტეპიჩი (14)

**რეალი 89:83 რომა**
რეალი: სმიტი (23), მუმბრუ (17)
რომა: როლბეკი (24), უკიჩი (19)

**ბარსელონა 82:67 ფენერბაჰჩე**
ბარსელონა: ტრიასი (14), ლაკოვიჩი (13)
ფენერბაჰჩე: სოლომონი (19), ონანი (12)

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| რეალი | 2 | 0 | 169 | 155 | 14 |
| პანათინაიკოსი | 2 | 0 | 152 | 144 | 8 |
| პარტიზანი | 2 | 0 | 169 | 165 | 4 |
| ბარსელონა | 1 | 1 | 160 | 148 | 12 |
| როანი | 1 | 1 | 151 | 149 | 2 |
| ბამბერგი | 0 | 2 | 122 | 130 | -8 |
| რომა | 0 | 2 | 166 | 175 | -9 |
| ფენერბახჩე | 0 | 2 | 139 | 162 | -23 |

## NBA რეგულარული ჩემპიონატი



# ზორბა ხარ, მაგრამ ბებერი

## დევშაკი ასაკმა წააქცია

1 ნოემბერი

**იუტა 95:106 ჰიუსტონი**
იუტა: ბუზერი (30 ქულა, 16 მოხსნა), უილიამსი (18 ქულა, 13 პასი), ოქური (16 ქულა, 10 მოხსნა)
ჰიუსტონი: მაკგრეიდი (47), ჯეიმსი (15)

„იუტა ჯაზს" რეგულარული ჩემპიონატის პირველ სამ დღეში ორ ძველ ნაცნობთან მოუხდა შეხვედრა. 2007 წლის პლეი ოფში „ჯაზმენებმა" ჯერ „ჰიუსტონი" დაამარცხეს, შემდეგ კი „გოლდენ სტეიტი" და ახლა ამ ორთან შეხვედრებით დაიწყეს ახალი სეზონი, მაგრამ თუ „გოლდენ სტეიტთან" ყველაფერი გადასარევად წაუვიდათ, „ჰიუსტონთან" პირიქით, ვერაფერი გააწყვეს, რაც ერთი მოთამაშის პირადი დამსახურებაა.

ჰიუსტონელთა ლიდერი ტრეისი მაკგრეიდი ყველას თავგამოდებით არწმუნებდა, ეს რიგითი თამაშია და „იუტას" განსაკუთრებულ მტრად კი არა, ჩვეულებრივ მეტოქედ ალვიქვამო, მაგრამ გავიდა მოედანზე და იქ ისეთი ამბები დაატრიალა, მტერს და ავს. ის ყველა სროლაში დებდა იუტელთა მიმართ სიძულვილს, სულ კი 27-ჯერ ესროლა, 17 ჩააგდო, 14-დან 11 საჯარიმო გამოიყენა და 47 ქულა დაატეხა თავს მეტოქეს, რომელსაც იმ ავადსახსენებელ საპლეიოფო სერიაში ჯერ 2:0 უგებდა, მერე კი 3:4 წააგო და ხალხს კიდევ ერთხელ მისცა მის ნიჭში დაეჭვების საბაბი, აქაოდა, მაკგრეიდი მარტო რეგულარულებშია მაგარი, პლეი ოფში კი ბურთი უვარდებაო.

**სიეტლი 99:106 ფინიქსი**
სიეტლი: დურანტი (27), უილკოქსი (23 ქულა, 11 მოხსნა), უილკინსი (12)
ფინიქსი: სტუდემაიერი (23 ქულა, 11 მოხსნა), ნეში (18 ქულა, 12 პასი, 7 მოხსნა), მერიონი (14 ქულა, 11 მოხსნა), ჰილი (13)

დრაფტის პირველი ნომრის, პორტლენდელი გრეგ ოდენის დამტვრევის შემდეგ ახალბედათაგან ყურადღების ცენტრში მოექცა მეორე ნომერი, „სიტელის" ახალგამოცხვარი ლიდერი კევინ დურანტი. 31 ოქტომბერს ამ ყმაწვილმა დენვერში გამართულ შეხვედრაში 18 ქულა გააკეთა, 1 ნოემბერს კი „სიეტლის" პირველ საშინაო შეხვედრაში 27 ქულით წარუძღვა ახალ ქომაგებს, რომლებმაც ის ერთი ნახვით შეიყვარეს. ფინიქსელი რაჯა ბელი მთელი შეხვედრის განმავლობაში პერსონალურად მეურვეობდა დურანტს და ისე გასავათდა და გადაიწვა, რომ ნათამაშევს ორივე მუხლზე კარგა ხანს ყინულიანი პაკეტები ეწყო.

**მაიამი 80:91 დეტროიტი**
მაიამი: დევისი (23), ჰასლემი (14 ქულა, 11 მოხსნა)
დეტროიტი: პრინსი (34 ქულა, 12 მოხსნა), ბილაფსი (19 ქულა, 11 პასი)

„დეტროიტი" და „მაიამი" ის აღმოსავლელი გუნდები არიან, რომელთაც ბოლო 10 წელიწადში დასავლელებს ორჯერ წაართვეს ჩემპიონობა. პირველმა ეს 2004 წელს შეძლო, მეორემ კი 2006-ში. ამასთან ისინი ბოლო ხანს ერთმანეთისათვისაც პრინციპულ მეტოქეებად იქცნენ, მაგრამ ახლა დაძაბული ბრძოლა არ შედგა. „დეტროიტს" აკლდა მთავარმექულე რიპ ჰამილტონი, მაგრამ მაინც დამაჯერებლად იმარჯვა. ტაიშონ პრინსმა 34 ქულა ჩააგდო და კარიერის რეკორდი დაამყარა, 12 მოხსნით კი ასევე კარიერის რეკორდი გაიმეორა.

თავის მხრივ, „მაიამისაც" აკლდა ბომბარდირი — დუეინ ვეიდი ჯერ არ მოკეთებულა მუხლის და მხრის ოპერაციების შემდეგ. მეორე ლიდერმა, ბეხრეკმა შაკილ ონილმა კი საშინლად ითამაშა და კიდევ ერთხელ დაგვანახა, რომ დროს ვერ აჯობებს. 35 წლის დევკაცმა პირველ ტაიმში ბურთის ჩაგდება კი არა, სროლაც კი ვერ მოახერხა. მან თამაშში 9 ქულით, 7 მოხსნით და 5 პერსონალურით ჩაამთავრა.

**კოტე ყორშია**


სარბიელი
სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1990 წლის 28 დეკემბრიდან
გამოდის ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს, ხუთშაბათს, პარასკევს და შაბათს

გამომცემელი ზურაბ ფოცხვერია
დირექტორი გიორგი ოქრომჭედლიძე
მთავარი რედაქტორი თამაზ მიგრიაული
პასუხისმგებელი რედაქტორი კახა შალამბერიძე
ტექნიკური რედაქტორი მამუკა გუბელაძე
ქართული ფეხბურთის რედაქცია: კობა ინასარიძე, ნუკრი ლოლაძე, ილია ნანობაშვილი, მიხეილ ჟორჟოლიანი
უცხოური ფეხბურთის რედაქცია: გიო ახვლედიანი, ილია ბაბუნაშვილი, გიორგი დარჯანია, გიორგი ვაშაკიძე, გიორგი კაკაბაძე, ლადო ხომერიკი, ვაჟა ხუციშვილი
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი: გიორგი ბერიკაშვილი
ინფორმაციის რედაქცია: გია ახალაძე, ავთანდილ გურასაშვილი, ოთარ მაღლაკელიძე, ირაკლი პერტაია, ბაჩო სვანიძე, ირაკლი ფირაშვილი
ფოტორეპორტიორები: გურამ დოლენჯაშვილი, ბადრი კეთილაძე
სტილისტები: ნათელა გიორგობიანი, ლალი გოზალიშვილი
კომპიუტერული ცენტრი: ლეილა ბეგლაროვა, ლია ბესელია, ხათუნა ბუხუნიშვილი, მაგდა დოგრაშვილი, რუსუდან ერისთავი, ზვიად მოსიაშვილი, თამარ ქინქლაძე, ზურაბ წერეთელი


სარეკლამო სამსახური: 38-11-14, 877 54 55 00


რედაქციის მისამართი:
თბილისი, ალექსანდრე ყაზბეგის გამზირი 42, 11 კორპუსი, IV სართული.
საფოსტო მისამართი:
თბილისი — 79, საფოსტო ყუთი 208. ტელეფონი: 39 48 29
ელექტრონული ფოსტა
sarbieli@gol.ge
ელექტრონული ვერსია
http://www.sarbieli.com.ge